F171
1986

ეროვნული

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1986

ივლისი № 7 июль

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება

სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობათა მასალების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის განმარტებისა და შესწავლის ორგანიზების შესახებ

სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტური მშენებლობის შემდგომი განვითარების სტრატეგია განსაზღვრეს, დიდი ისტორიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებია.

ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა შორის ყრილობათა მასალების განმარტებას, შესწავლასა და პროპაგანდას, თითოეულ მოსწავლემდე მათი არსის დაყვანას, ჩვენი საზოგადოების განვითარების ამოცანათა გადაწყვეტასა და დედამიწაზე მშვიდობის საქმის დამკვიდრებაში მათ პასუხისმგებლურ როლს.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობათა მასალების შესწავლა მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაძლიერებისა და ოპტიმიზაციის გადამწყვეტი ფაქტორი, მოსწავლეთა შემეცნებითი, შრომითი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის, მათი იდეურ-ზნეობრივი და სულიერი ჩამოყალიბების ძირითადი სტიმული უნდა გახდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985 წ.) პლენუმის მიერ წამოყენებული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია, რომელიც სკკპ 27-ე ყრილობის ლეიტმოტივად იქცა, არა მარტო მოსწავლეთა შორის გულმოდგინე და კონკრეტული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, არამედ ღრმად შევიდეს სკოლის, თითოეული მისი აღსაზრდელისა და მასწავლებლის ცხოვრებაში, აქტიურად შეუწყოს ხელი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის თანმიმდევრულ და წარმატებით განხორციელებას.

მოსწავლეთათვის ყრილობის მასალების გაცნობისას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ დოკუმენტებზე მუშაობის ნაცადი ფორმებისა და მეთოდების ყოველმხრივ გამოყენებას, რომლებიც უზრუნველ-

ყოფს თანმიმდევრობას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებსა და სა[illegible] ტორიულ გამოცდილებაზე მოსწავლეთა აღზრდის საქმეში.

ყრილობათა გადაწყვეტილებების პროპაგანდა უნდა მიმდინარეობდეს სკოლის, სოფლის, რაიონის, ქალაქისა და იმ მოწინავე შრომითი კოლექტივების ცხოვრებიდან აღებულ კონკრეტულ მაგალითებთან მჭიდრო კავშირში, რომლებიც მე-12 ხუთწლედის გეგმების შესრულებას შეუდგნენ.

სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობათა მასალების მოსწავლეთა შორის შესწავლისა და პროპაგანდის მთავარი ამოცანაა თითოეულ მოსწავლეში აქტიური სწრაფვისა და შეგნებული მოთხოვნილების ჩამოყალიბება, რათა პირადი შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანოს ყრილობათა გადაწყვეტილებების შესრულებაში, საქმით დაამტკიცოს ერთგულება სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს მეთოდიკური რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობათა მასალების განმარტების, შესწავლისა და პროპაგანდისათვის.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნულ რეკომენდაციათა საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ყრილობის მასალების შესწავლასა და პროპაგანდას. მხედველობაში იქონიონ, რომ ეს მუშაობა უნდა ხორციელდებოდეს მოსწავლეთა ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებების, მათი მომზადების დონისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

— ადგილობრივი მეთოდური სამსახურების მეშვეობით აუცილებელი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებსა და აღმზრდელებს მოსწავლეთათვის სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობათა მასალების განმარტებისა და შესწავლის ორგანიზებასა და მეთოდიკაში; უზრუნველყონ ამ საკითხების საპკოლო მეთოდურ გაერთიანებებზე, კურსებსა და სემინარებზე, სახალხო განათლების მუშაკთა 1986 წლის აგვისტოს კონფერენციებზე განხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. რესპუბლიკური პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) გაითვალისწინონ სტატიების გამოქვეყნება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ყრილობათა მასალების შესწავლის მსვლელობის შესახებ.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებისადმი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. ე. ქურციკიძე) და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

FSYOD

РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об организации изучения и разъяснения учащимся общеобразовательных школ республики материалов XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии

29 апреля 1986 года

XXVII съезд КПСС и XXVII съезд Компартии Грузии, определившие стратегию дальнейшего развертывания в стране, республике коммунистического строительства — событие огромной исторической и общественно-политической важности.

Велико значение разъяснения, изучения и пропаганды среди школьников материалов съездов, доведения до каждого их сущности, ответственнейшей роли в решении задач развития нашего общества, утверждения дела мира на Земле.

Изучение в общеобразовательных школах республики материалов XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии должно стать решающим фактором усиления и оптимизации всего учебно-воспитательного процесса, главным стимулом жизни школы, села, района, города, передовых трудовых коллективов, приступивших к выполнению планов двенадцатой пятилетки.

Главной задачей изучения и пропаганды среди учащихся материалов XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии является формирование у каждого учащегося активного стремления, сознательной потребности внести посильный личный вклад в реализацию решений съездов, делом доказывать верность Родине, Коммунистической партии.

Исходя из вышеизложенного коллегия решает:

1. Утвердить методические рекомендации по изучению, разъяснению и пропаганде среди учащихся общеобразовательных школ материалов XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии.

2. Поручить Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси:

— разработать и осуществить систему мероприятий, обеспечивающих изучение и пропаганду материалов съездов в об-

щеобразовательных школах и внешкольных учреждениях на основе предложенных рекомендаций. Иметь в виду, что настоящая работа должна вестись с учетом возрастных и психологических особенностей учащихся, уровня их подготовки, местных условий;

— через местные методические службы оказывать учителям и воспитателям необходимую помощь в организации и методике изучения и разъяснения школьникам материалов XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии, обеспечить обсуждение этих вопросов в школьных методических объединениях, на курсах и семинарах, на августовских конференциях работников народного образования 1986 года.

3. Редакциям республиканской педагогической печати (т. т. Н. Швелидзе, Р. Дзерия) предусмотреть публикацию статей о ходе изучения материалов съездов в общеобразовательных школах и внешкольных учреждениях республики.

4. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление школ (т. Э. Курцикидзе) и Управление воспитательной работы (т. Э. Заркуа).

Председатель коллегии,
Министр Н. Ш. Васадзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისისა და გარდაბნის რაიონის საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში გამოვლენილი სერიოზული დარღვევების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, თბილისისა და გარდაბნის რაიონის საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების საქმიანობაში ადგილი აქვს უხეშ დარღვევებს. მიმდინარე წლის 2, 3 და 4 მაისს ჩატარებულმა მოულოდნელმა შემოწმებამ ცხადყო კოჯრის № 2 საბავშვო სახლის (დირექტორი ამხ. თ. ლეშკაშელი), № 4 საბავშვო სახლის (დირექტორი ამხ. თ. ჩხიკვაძე), კოჯრის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ამხ. გ. სულავა), თბილისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ამხ. ლ. ციბაძე) მუშაობის ისეთი არადამაკმაყოფილებელი დონე, რომელიც არამც თუ საზეიმო ვითარებისათვისაა შეუფერებელი, არამედ ვერ პასუხობს ამ ტიპის დაწესებულებათა წინაშე მდგარი ამოცანების მინიმუმსაც კი.

№ 2 საბავშვო სახლის დირექტორმა ამხ. თ. ლეშკაშელმა თვითნებურად დატოვა სამსახური, არ უზრუნველყო სადღესასწაულო პერიოდისათვის აუცილებელი საგანგებო რეჟიმი და წესრიგი, რის შედეგადაც 2 მაისს დღის 4 საათისათვის, მთელს საბავშვო სახლში, 4 საალმზრდელო ჯგუფზე მიმაგრებული იყო მხოლოდ 3 თანამშრომელი — ერთი მოხუცებული ძიძა, ერთი აღმზრდელი და ერთიც შემცვლელი მზარეული. უხეშად იყო დარღვეული ბავშვთა ძილის პირობები, არ შესრულდა კვების რეჟიმი, რის შედეგადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვებმა საკვები 4 საათის ნაცვლად 5 საათსა და 30 წუთზე მიიღეს და თანაც რაციონის უხეში დარღვევით. ასევე დარღვეული იყო პროდუქტების მიღება-გაცემის წესი და დოკუმენტების გაფორმების მოთხოვნები.

სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი კოჯრის № 4 საბავშვო სახლშიც, სადაც არსებულ ანტისანიტარიას, ბავშვთა კვებაში დაშვებულ დარღვევებს, მორიგე მასწავლებელთა არაკომპეტენტურობას სადღესასწაულო დღეების პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობის შეუფასებლობაც ამძიმებდა.

გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ვ. ძაძამია) სადღესასწაულო განწყობილების შექმნის ნაცვლად აღსაზრდელთათვის დაკეტილი იყო საქტო დარბაზი, დასასვენებელი ოთახები, პიონერთა ოთახი და სპორტდარბაზი. ასევე, სკოლა-ინტერ-

ნატში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე ნათლად მეტყველებენ
აღსაზრდელთა გარეგნული იერი და კვებაში დაშვებული დარღვევები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის რვაწლიან სკოლა-ინტერ-
ნატში შექმნილი უპასუხისმგებლობისა და განუკითხაობის გარემო.
აქ სადღესასწაულო დღეებში დარჩენილი აღსაზრდელები მოკლებუ-
ლი იყვნენ ელემენტარულ მზრუნველობას და მეთვალყურეობას. უხე-
შად დაირღვა თანამშრომელთა მიერ შრომითი დისციპლინა, კვების
ორგანიზაციის საკითხები. ინტერნატის ხელმძღვანელობის საქმიანო-
ბაში არსებული უხეში დარღვევების შედეგად მოშლილია სასწავლო-
აღმზრდელობითი პროცესი, რასაც ადასტურებს 4 მაისს 480 მოსწავ-
ლიდან გაკვეთილებზე მხოლოდ 20 ბავშვის გამოცხადება და ამდენად
სასწავლო დღის ჩაშლა.

კოლეგიას ყოვლად დაუშვებლად და სერიოზულ დარღვევად მიაჩ-
ნია ზემოაღნიშნულ სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლებში ბავ-
შვთა მოძრაობის აღრიცხვის მოშლა, ხოლო ბევრგან საერთოდ არარსე-
ობა. რაც ხელს უწყობს არა მარტო ბავშვთა უსაფრთხოების მოსა-
ლოდნელ საშიშროებას, არამედ მთელი რიგი სიყალბის ჩადენის შე-
საძლებლობას.

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიუხედავად არაერთი დადგენილებისა,
საბავშვო სახლებსა და ინტერნატული ტიპის დაწესებულებებზე შეფი
ორგანიზაციების მიმაგრების შესახებ, სადღესასწაულო დღეებში არც
ერთ საშეფო დაწესებულებას დასახელებული ობიექტებისადმი არა-
ვითარი ყურადღება არ გამოუჩენია.

დასახელებულ საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში გა-
მოვლენილი უხეში დარღვევები ნათლად მეტყველებენ მათი ხელმძ-
ღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობის სტილსა
და მეთოდებში დამკვიდრებულ უსულგულობაზე, უპასუხისმგებლო-
ბაზე, არაკვალიფიციურობაზე და მათდამი განათლების განყოფილე-
ბების და სამინისტროს მხრივ სათანადო კონტროლისა და ხელმძღვა-
ნელობის მოშლაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საბავშვო სახლისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებული სერიო-
ზული ნაკლოვანებებისათვის, რასაც შედეგად მოყვა თანამშრომლე-
ბის მიერ შრომის დისციპლინის უხეში დარღვევა: მცირეწლოვან ბავ-
შვთა კვების, უსაფრთხოებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების
უგულებელყოფა და სადღესასწაულო დღეების პოლიტიკური მნიშვ-
ნელობის შეუფასებლობა, კოჯრის № 2 საბავშვო სახლის დირექტორი
ამხ. თ. ლეშკაშელი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

2. საბავშვო სახლისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებული დარ-
ღვევებისათვის, აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობაში არსებული ნაკ-

ლოვანებებისათვის, სადღესასწაულო დღეების პოლიტიკური და აღმზრდელო მნიშვნელობის შეუფასებლობისათვის კოჯრის ბავშვთა სახლის დირექტორი ამხ. ო. ჩხიკვაძე იმსახურებს თანამდებობიდან განთავისუფლებას, მაგრამ მიღებულ იქნეს მხედველობაში ბავშვთა სახლის მატერიალური ბაზის უვარგისობით გამოწვეული სიძნელეები და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური თანამდებობაზე პირობით დატოვებით.

3. სკოლა-ინტერნატში არსებული ანტისანიტარიისათვის, მოსწავლეებისადმი უმეთვალყურეობისათვის, მათი მოვლა-პატრონობისადმი უპასუხისმგებლობისათვის, კვების ბლოკში არსებული უხეში დარღვევებისა და სადღესასწაულო დღეების მნიშვნელობის შეუფასებლობისათვის კოჯრის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. გ. სულავა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

4. სკოლა-ინტერნატში არსებული ანტისანიტარიისათვის, აღსაზრდელების კვებისა და უსაფრთხოებისადმი უსულგულო დამოკიდებულებისათვის, სასწავლო დღის ჩაშლისა და ზემდგომი ორგანოების დავალებების შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. ლ. ციბაძე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

5. ეთხოვოს საქართველოს კპ გორდაბნის და თბილისის საქარხნო რაიონულ პარტიულ კომიტეტებს განიხილონ კომუნისტების ამხ. თ. ლომკაშელის, რ. ჩხიკვაძის, გ. სულავას და ლ. ციბაძის პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი.

6. სკოლა-ინტერნატში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, სადღესასწაულო დღეების პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობის შეუფასებლობისათვის მარტყოფის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. ვ. ძაძამია იმსახურებს თანამდებობიდან განთავისუფლებას, მაგრამ მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ იგი ახალი დანიშნულია და გამოეცხადოს სასტიკი საყვედური; კატეგორიულად მოეთხოვოს მუშაობის დაუყოვნებლივი და არსებითი გარდაქმნა.

7. თბილისის საქარხნო და გორდაბნის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების მიერ განხორციელებული ხელმძღვანელობა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისადმი ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად; განათლების განყოფილებათა გამგეები ამხ. ამხ. ზ. ზაქარეიშვილი და თ. ნაცვლიშვილი მკაცრად იქნან გაფრთხილებული, რომ თუ არსებითად არ გარდაქმნიან თავიანთი მუშაობის სტილს და აღნიშნული დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობას, დაისმება საკითხი მათი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

8. დაევალოს განათლების სამინისტროს საორგანიზაციო-საინს-

პექტორო მუშაობის, კადრებისა და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოებს (ამხ. ამხ. თ. ტატიშვილი, ა. ვაჩნაძე, ვ. ბერიძე, გ. ვარდოსანიძე) მიმდინარე წლის 1-ლ ივლისამდე მთლიანად შეისწავლონ აღნიშნულ საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში თანამშრომელთა მიერ დაკავებული თანამდებობისადმი შესაფერისობის საკითხი; მიაღწიონ იქ შესატყვისი მოწოდების კადრების მოზიდვას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დასვან საკითხი მათში დამატებითი ატესტაციის ჩატარების შესახებ.

9. დაევალოს თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს ამხ. კ. სუჯაშვილს, თბილისის საქარხნო და გარდაბნის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. თ. ნაცვლიშვილსა და ზ. ზაქარეიშვილს დაუყოვნებლივ მიიღონ მკაცრი ზომები შემოწმებული საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების იმ თანამშრომელთა მიმართ, რომელთაც ბრალი მიუძღვით შექმნილ არანორმალურ მდგომარეობაში და შედეგი აცნობონ განათლების სამინისტროს ა/წ 25 ივნისამდე.

10. დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს ორი თვის ვადაში გაერკვეს საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა კვების, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის საკითხებში და შედეგები მოახსენოს მინისტრს.

11. კოლეგია ავალებს განათლების სამინისტროს ყველა სამმართველო-განყოფილების ხელმძღვანელებსა და თითოეულ მუშაკს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში საგანგებო ზრუნვის საგნად აქცინონ სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები.

12. აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსმა (ამხ. ე. ზარქუა) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად ერთი თვის ვადაში შეისწავლოს და წარმოადგინოს სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებზე გაპიროვნებულ შეფ ორგანიზაციებთან მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

13. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. გაგუას.

14. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში" და დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, სამინისტროს აპარატის სამმართველოებსა და განყოფილებებს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმენათლებლო სკოლებში რუსული ენის სასწავლო კაბინეტების აღჭურვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის მაისის დადგენილების „მოკავშირე რესპუბლიკების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში რუსული ენის შესწავლის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი 1983 წლის აგვისტოს დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში რუსული ენის შესწავლის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის ახალი და უკვე მოქმედი სასწავლო კაბინეტების შექმნის გეგმა. უკანასკნელ წლებში ლინგაფონური მოწყობილობის მქონე კაბინეტების რიცხვი სამჯერ გაიზარდა (1985 წელს იყო 924, ხოლო 1980 წელს კი 272).

კარგი მატერიალური ბაზის მქონე საშუალო სკოლებში რუსული ენის სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი 2-3 კაბინეტი მოქმედებს, რომლებიც მასწავლებლის შემოქმედებით ლაბორატორიად იქცნენ.

ამასთან, ადგილებზე ჩატარებულმა შემოწმებამ და სტატისტიკურმა მონაცემებმა გვიჩვენა, რომ რუსული ენის კაბინეტების შექმნისა და აღჭურვის საქმეში ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს: სახალხო განათლების ორგანოები სწავლების ტექნიკურ საშუალებათა შეძენისა და განაწილებისას ყოველთვის როდი ითვალისწინებენ ამ მოწყობილობაში სკოლების მოთხოვნილებას და ფაქტობრივ აღჭურვას. ეს კი ერთ სკოლაში მოწყობილობის ზედმეტად დაგროვებას, ხოლო მეორეში კი მის დანაკლისს განაპირობებს. ადგილებზე არ აქვთ კაბინეტების სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის პერსპექტიული გეგმა, არამიზანშეწონილად გამოიყენება სკოლებში აუდიოვიზიტალური ტექნიკა. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში რესპუბლიკის ყველა სკოლაში როდი იყო შექმნილი აღნიშნული სასწავლო კაბინეტები, ხოლო არარუსული ენის სწავლებიდან სკოლებში არსებული 1046 კაბინეტიდან რუსული ენის სწავლებისათვის გათვალისწი-

ნებული მხოლოდ 229 კაბინეტია აღჭურვილი ლინგაფონური მოწყობილობით.

ადგილებზე არ ღებულობენ აუცილებელ ზომებს სასწავლო პროცესში ლინგაფონური კაბინეტების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკაში მხოლოდ უცხოური ენების შესწავლისათვის გათვალისწინებული 695 ლინგაფონური კაბინეტი მოქმედებს, თუმცა თავისი ფუნქციით ლინგაფონური კაბინეტის დანიშნულებაა გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ენის რუსული იქნება ეს თუ უცხოური შესწავლისათვის. იშვიათი როდია, როცა ჭიანურდება ლინგაფონის მოწყობილობის დაყენება ან აპარატურის ხმარების უცოდინარობის გამო, იგი მწყობრიდან გამოდის.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება პარტიისა და მთავრობის დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც საგნის სწავლების ეფექტიანობის ამაღლებას, რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების შექმნას და ლინგაფონური მოწყობილობით მათ აღჭურვას გულისხმობს. გამოუყენებელია საბაზო საწარმოთა შესაძლებლობები სასწავლო კაბინეტების აღჭურვის საქმეში.

არსებულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. აამაღლონ პედაგოგიური კოლექტივების ხელმძღვანელთა, სკოლების დირექტორებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათი მოადგილეების და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების პირადი პასუხისმგებლობა რუსული ენის კაბინეტების მდგომარეობისადმი; მოსწავლეთა სამეტყველო პრაქტიკის აქტივიზაციის მიზნით მიაღიწონ გაკვეთილებზე თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ფართოდ გამოყენებას.

1. 2. მიიღონ ქმედითი ზომები ყველა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში რუსული ენის კაბინეტების შესაქმნელად, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით მათ უზრუნველსაყოფად, ფართოდ გამოიყენონ საბაზო საწარმოთა შესაძლებლობანი სასწავლო კაბინეტების აღჭურვის საქმეში.

1. 3. არარუსული ენის სწავლებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების რაოდენობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისად შეადგინონ მათი 1986—1990 წლებისათვის ლინგაფონური მოწყობილობით აღჭურვის გეგმა და მოთხოვნილება წლეულ ... ხედვით, წარმოუდგინონ იგი მომარაგების მთავარ სამმართველოს.

1. 4. ცენტრალიზებული წესით მიღებული ლინგაფონური მოწყობილობანი დააყენონ, პირველ რიგში, რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტებში და განახორციელონ კონტროლი საგნის სწავლების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მათ გამოსაყენებლად.

1. 5. დროულად წარმოუდგინონ განაცხადი სპეციალიზებულ სამონტაჟო-ასაწყობ სახელოსნოს სწავლების ტექნიკურ საშუალებათა შეკეთების ან დაყენების, აგრეთვე ლინგაფონური მოწყობილობისა და სასკოლო რადიოკვანძების დასამონტაჟებლად.

1. 6. კაბინეტების მოწყობისას გათვალისწინონ ესთეტიკური, ჰიგიენური და ეკონომიკური მოთხოვნები.

1. 7. სასწავლო პროცესში ლინგაფონური აპარატურის დაცვისა და ხანგრძლივად გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით დააწესონ მკაცრი კონტროლი სკოლების ხელმძღვანელთა და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობისადმი.

1 .8. უზრუნველყონ უცხოური ენების შესწავლისათვის გათვალისწინებული ლინგაფონური კაბინეტების რუსული ენის სწავლებისა და შესწავლისთვისაც გამოყენება.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალიზებულმა სამონტაჟო-ასაწყობმა სახელოსნომ (ამხ. ა. ი. ბანცაძე) განახორციელოს მინიმალურად მოკლე ვადებში ლინგაფონურ მოწყობილობათა დაყენება და სისტემატურად უზრუნველყოს გაუმართავი სწავლების ტექნიკური საშუალებების შეკეთება.

3. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ა. ძლიერიშვილი):

3 .1. ადგილებიდან მიღებული განაცხადების თანახმად უზრუნველყოს აუცილებელი მოწყობილობის დროულად მიწოდება რუსული ენის ახალი და მოქმედი კაბინეტების აღჭურვისათვის.

3. 2. მოაწესრიგოს სკოლების სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, სპეციალური მანქანებითა და ლინგაფონური კაბინეტებისათვის მოწყობილობით მომარაგება.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დ. დარჩია):

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 1. კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ტექნიკური წიგნიერების სრულყოფის საკითხებს.

4 .2. კვალიფიკაციის ამაღლების კურსების პროგრამის ფარგლებში გამოძებნოს სწავლების ტექნიკურ საშუალებათა შესწავლის კურსისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობანი ლინგაფონური კაბინეტების პირობებში მუშაობისათვის.

5. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს სკოლების სამმართველოს (ამხ. ე ა. ქურციკიძე).

საფუძველი: სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 11 დეკემბრის წერილი № 155-4382 „რუსული ენის სასწავლო კაბინეტების აღჭურვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О мерах по улучшению оснащения учебных кабинетов русского языка в общеобразовательных школах республики

12 мая 1986 года, № 134

Во исполнение постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР от 1983 года «О дополнительных мерах по улучшению изучения русского языка в общеобразовательных школах и других учебных заведениях союзных республик», соответствующего постановления ЦК КП Грузии и Совета Министров Грузинской ССР от 1983 года и приказа Министерства просвещения ГССР № 757 от 11.10.83 г. «О дополнительных мерах по улучшению изучения русского языка в общеобразовательных школах и дошкольных учреждениях республики» осуществляется план создания новых и дооснащения уже действующих учебных кабинетов русского языка и литературы в общеобразовательных школах. За последние годы число кабинетов с лингафонным оборудованием увеличилось в 3 раза (924— в 1985 г. против 272—в 1980 г.).

В средних школах, имеющих хорошую материальную базу, функционирует по 2-3 кабинета русского языка, оснащенных техническими средствами обучения, которые стали творческой лабораторией для учителя.

Вместе с тем проверки на местах и статистические данные показывают, что в деле создания и оборудования кабинетов русского языка имеются существенные недостатки: органы народного образования при приобретении и распределении технических средств обучения не в достаточной мере учитывают потребности школ в этом оборудовании и фактическую оснащенность, что приводит к накоплению излишнего оборудования в одних школах и недостаче его в других. Нет перспективного плана оснащения кабинетов техническими средствами обучения, нецелесообразно применяется в школах аудиовизуальная техника. На начало текущего учебного года еще далеко не во всех школах республики созданы указанные учебные кабинеты, а из имеющихся 1046 кабинетов в школах с нерусским языком обучения лишь 229, предусмотрены для изучения русского языка, оборудованы лингафонным устройством.

На местах не принимаются необходимые меры по максимальному использованию лингафонных кабинетов в учебном процессе, тогда как в республике функционирует 695 лингафонных кабинетов, предназначенных только для изучения иностранных языков, хотя по своим функциям лингафонный кабинет предназначен для изучения языков, будь то русский, иностранный или родной язык. Нередки случаи, когда затягивается установка лингафонного оборудования, или из-за неумелого обращения аппаратура выходит из строя.

Неудовлетворительно выполняется постановление партии и правительства в части повышения эффективности преподавания предмета, организации кабинетов русского языка и литературы, оснащения их лингафонным устройством, не использованы возможности базовых предприятий в деле оснащения учебных кабинетов.

С целью устранения имеющихся недостатков — приказываю:

1. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования Тбилгорисполкома:

1. 1. Повысить личную ответственность руководителей педагогических коллективов, директоров школ и их заместителей по учебно-воспитательной работе, учителей русского языка и литературы за состояние кабинетов русского языка; добиваться широкого использования на уроках наглядных пособий и современных технических средств обучения, в целях активизации речевой практики учащихся.

1. 2. Принять действенные меры к созданию кабинетов русского языка во всех неполных средних и средних школах, обеспечению их учебно-наглядными пособиями и техническими средствами обучения, шире использовать возможности базовых предприятий в деле оснащения учебных кабинетов.

1. 3. В соответствии с количеством кабинетов русского языка и литературы в общеобразовательных школах с нерусским языком обучения, составить план их оснащения лингафонным оборудованием на 1986—1990 гг. и потребность по годам, представить его в Главное управление снабжения.

1. 4. Установить полученные в централизованном порядке лингафонные устройства, в первую очередь, в кабинетах рус-

ского языка и литературы и осуществлять контроль за их использованием с целью повышения эффективности преподавания предмета.

1. 5. Своевременно представить заявку специализированной монтажно-наладочной мастерской на ремонт или установку техничекких средств обучения. Монтаж лингафонного оборудования и школьных радиоузлов.

1. 6. При оборудовании кабинетов предусмотреть эстетические, гигиенические и экономические требования.

1. 7. Установить строгий контроль за работой руководителей школ и учителей русского языка и литературы с целью обеспечения сохранности и длительного использования лингафонной аппаратуры в учебном процессе.

1. 8. Обеспечить использование лингафонных кабинетов по изучению иностранных языков и для преподавания и изучения русского языка.

2. Специализированной монтажно-наладочной мастерской Минпроса ГССР (тов. А. И. Банцадзе) осуществить, в минимально короткий срок установку лингафонных устройств и систематически обеспечивать ремонт неисправных технических средств обучения.

3. Главному управлению снабжения (тов. К. А. Дзлиеришвили):

3. 1. Согласно заявкам с мест, обеспечить своевременную постановку необходимого оборудования для оснащения новых и дооснащения функционирующих кабинетов русского языка.

3. 2. Упорядочить снабжение школ учебно-наглядными пособиями, техническими средствами обучения, пишущими машинками и оборудованием для лингафонных кабинетов.

4. Центральному институту усовершенствования учителей (тов. М. Д. Дарчия):

4. 1. На курсах повышения квалификации уделить особое внимание вопросам совершенствования техникеской грамотности учителей русского языка и литературы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 2. В пределах программы курсов повышения квалификации, изыскать возможности увеличения количества часов, отведенных на курс изучения технических средств обучения для работы в условиях лингафонных кабинетов.

5. Контроль за исполнением данного приказа возложить на Управление школ (тов. Круцикидзе Э. А.).

Основание: Письмо Министерства просвещения СССР № 155-4382 от 11.12.85 г. «О мерах по улучшению оснащения учебных кабинетов русского языка».

Министр Н. Ш. Васадзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ორგანიზაციისა და მათი მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

ბოლო წლების მანძილზე სახალხო განათლების ორგანოების მიერ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების საქმიანობის გაუმჯობესების, მათი რეპერტუარის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების მიზნით. ცალკეულმა ანსამბლებმა (ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური, ქ. ქ. ქუთაისისა და გორის პიონერთა სასახლეების, სამტრედიის პიონერთა სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „მზიური“, „აისი“, „აი-ია“, „იმედი“) თავისი გამოსავლებით პოპულარული კოლექტივების სახელი მოიხვეჭეს და კარგ ტრადიციებს ჩაუყარეს საფუძველი.

ერთგვარად ამაღლდა სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ანსამბლების პროგრამების იდეურ-თემატური მიმართულებისათვის. გაუმჯობესდა ხელმძღვანელთა ხარისხობრივი შემადგენლობა. მათი დიდი უმრავლესობა საშუალო ან უმაღლესი სპეციალური მუსიკალური განათლებითაა.

ამასთან კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ გამოიტანეს საჭირო დასკვნები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის № 713 ბრძანებიდან და არ მიიღეს სათანადო ზომები მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების მუშაობის გაუმჯობესების, რეპერტუარის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლების, მათ საქმიანობაზე ეფექტური კონტროლის განხორციელებისათვის, ხშირ შემთხვევებში კი თვითდინებაზე მიუშვეს ამ კოლექტივების მუშაობა.

კვლავ არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს დედაქალაქში საბავშვო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ქსელის გაფართოება. თბილისში ასეთი კოლექტივები მხოლოდ ორია (ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლისა და გლდანის რაიონის პიონერთა სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები — „მზიური“, „მთიები“).

ადგილებზე განათლების ორგანოების მიერ ანსამბლების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის გაწეული არასაკმარისი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად მოსმენილი 12 ანსამბლიდან 4-ს (წულუკიძის, დუშეთის პიონერთა სახლების, ქუთაისის 1-ლი, გურჯაანის რაიონის

სოფელ ბაკურციხის საშუალო სკოლების ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები) საერთოდ არა აქვს გავლილი საზოგადოებრივი ცია კოლექტივის იდეურ-მხატვრული, შემოქმედებითი და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შეფასების, მისი საჯაროდ გამოსვლის უფლების შესაძლებლობების განსაზღვრისათვის.

ანსამბლების პროგრამების სრულყოფას ხელს უშლის საბავშვო და პიონერული სიმღერების უკმარისობა, იშვიათად გვხვდება მაღალი მოქალაქეობრივი ყღერადობის საბჭოთა სასიმღერო და ინსტრუმენტული კლასიკის, ეროვნული ფოლკლორის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პოეტთა და კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებები. ყანრობრივი განსხვავების მიუხედავად სიმღერები, არც თუ იშვიათად, იდენტური და ერთფეროვანია, დაბალია სასიმღერო და საორკესტრო ნაწარმოებების შესრულების დონე (მაიაკოვსკის, წულუკიძის, დუშეთის პიონერთა სახლების, აბაშის 1-ლი, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის, ქუთაისის 1-ლი, 30-ე საშუალო სკოლების ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები).

ცალკეული ანსამბლის ხელმძღვანელი ერთმანეთს ვერ უთავსებს პედაგოგისა და მუსიკოსის ფუნქციებს, ვერ ავლენს პროფესიონალიზმს (მაიაკოვსკის პიონერთა სახლის ანსამბლი „ნაპერწკალი“ — ხელმძღვანელი რ. ჩხეიძე, აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის ანსამბლი „სხივი“ — ხელმძღვანელი რ. ჯანკველაძე), ზოგიერთს კი არა აქვს აუცილებელი პროფესიული მომზადება, საორგანიზაციო-შემოქმედებითი და აღმზრდელობითი მუშაობის უნარ-ჩვევები (წულუკიძის პიონერთა სახლის ანსამბლი „შევარდენი“ — ხელმძღვანელი ა. კალატოზი).

სახალხო განათლების ორგანოები კულტურის განყოფილებასთან ერთად ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს ანსამბლების ხელმძღვანელებისა და წევრთა სისტემატური სწავლების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციისათვის, ვერ იზიდავენ შემოქმედებითი კავშირების წევრებს, სპეციალური სასწავლებლებისა და დაწესებულებების პედაგოგებს თვითმოქმედი კოლექტივების ხელმძღვანელთა მეთოდური დახმარებისათვის.

მოუწესრიგებელია სკოლებში ანსამბლის ხელმძღვანელთა პედაგოგიური დატვირთვის საკითხი. არსებული წესის დარღვევით ორი განაკვეთის ზევით პედაგოგიური დატვირთვით მუშაობს მაიაკოვსკის პიონერთა სახლის ანსამბლ „ნაპერწკალის“ ხელმძღვანელი რ. ჩხეიძე.

არადამაკმაყოფილებელია ანსამბლთა ერთი ნაწილის სამუშაო პირობები, შესაცვლელია ინსტრუმენტები და ელექტროაპარატურა (მაიაკოვსკის პიონერთა სახლის, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის საშუალო სკოლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები). არ არის დაწესებული მუდმივი კონტროლი ფონოტეკის შექმნასა და არ-

სებული ფონდების შევსებაზე. ანსამბლების ხელმძღვანელთა დიდ ნაწილს არა აქვს საშუალება ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით თანამედროვე მუსიკის განვითარების ახალი ტენდენციების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სახლის მიერ ზომების დროულად მიუღებლობის გამო დღემდე არ არის გამოცემული საბავშვო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებისათვის სარეპერტუარო კრებულები, პარტიტურები, რომლებიც უპასუხებდნენ მაღალ იდეურ-მხატვრულ მოთხოვნებს, ამიტომაცაა რომ ანსამბლები ხშირად თვითმოქმედი ავტორების იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით სუსტ ნაწარმოებებს ასრულებენ.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად იმითაცაა გამოწვეული, რომ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა დირექტორები, სახალხო განათლების განყოფილებები ხშირად არ ინტერესდებიან ადგილებზე შექმნილი ვითარებით და არ სახავენ სათანადო ღონისძიებებს არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად. არ არის ჩამოყალიბებული სამხატვრო საბჭოები (წყალტუბოს, მაიაკოვსკის, დუშეთის, წულუკიძის პიონერთა სახლებთან, აბაშის 1-ლი, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის, ქუთაისის 1-ლი და 30-ე საშუალო სკოლები), სადაც თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარის განხილვა-დამტკიცება უნდა ხდებოდეს.

მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს:

1. 1. საფუძვლიანად გააანალიზონ და პრინციპული შეფასება მისცენ განათლების ორგანოების, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობას მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ორგანიზაციისა და საქმიანობის პრაქტიკის მოსაწესრიგებლად, რეპერტუარის იდეურ-მხატვრული დონისა და საშემსრულებლო კულტურის ასამაღლებლად, გაატარონ დამატებითი ზომები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

1. 2. კულტურის ორგანოებთან, პროფკავშირის კომიტეტებთან და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მკაცრი კონტროლი დააწესონ თვითმოქმედი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ჩამოყალიბებასა და მათს გამოსვლებზე, პროგრამების იდეურ-მხატვრულ დონეზე. ხელი შეუწყონ მათში საბჭოთა ავტორების, სამამულო სასი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღერო კლასიკის, ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნაწარმოებების შეტანას.

1. 3. განავითარონ მუსიკის მოყვარულთა გაერთიანებების, ლექტორიუმების, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ქსელი, რომლებიც პროპაგანდას გაუწევენ კლასიკურ, ხალხურ მუსიკას, საბჭოური სიმღერების საუკეთესო ნიმუშებს.

1. 4. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ხელმძღვანელთა შერჩევას, მათ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. კოლექტივის წევრთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, კოლექტივში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

1. 5. აამაღლონ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მუსიკალური კულტურის სფეროში ერთიანი სამხატვრო პოლიტიკის გატარებისა და აღნიშნულ დაწესებულებებში სამხატვრო საბჭოების ჩამოყალიბებისათვის.

1. 6. მკაცრი კონტროლი დააწესონ სკოლებში, საბავშვო პარკებში, საქალაქო პიონერთა, შრომისა და დასვენების ბანაკებში, განათლების სისტემის სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებებში მუსიკალური პროგრამების ტრანსლირებაზე.

1. 7. კულტურის ადგილობრივ განყოფილებებთან ერთად 1986—1987 წლებში მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ხელმძღვანელთა საზოგადოებრივ ატესტაციაში და კოლექტივის ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლონ პირები, რომლებსაც სათანადო სპეციალური განათლება არ გააჩნიათ.

1. 8. მიზნობრივად გამოიყენონ სასკოლო წრეების მუშაობისათვის დამტკიცებული ასიგნებანი მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ხელმძღვანელთა შრომის ასანაზღაურებლად.

2. მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურმა სახლმა (ამხ. თ. მდივანი):

2. 1. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებისათვის სარეპერტუარო ნაწარმოებების შექმნის მიზნით ყოველწლიურად გამოაცხადოს სიმღერების რესპუბლიკური კონკურსი.

2. 2. დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გადაწყვიტოს საკითხი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების დასახმარებლად სარეპერტუარო და მეთოდური ლიტერატურის, საბავშვო და პიონერული სიმღერების გამოცემის შესახებ.

2. 3. უზრუნველყოს პოლიტიკური და სამხედრო-პატრიოტული სიმღერების რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალის მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარება მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების მონაწილეობით.

2. 4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად სისტემატურად ჩაატაროს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ხელმძღვანელთა სემინარები.

2. 5. 1986 წლის ბოლომდე დაამუშაოს დებულება საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების შესახებ.

2. 6. არსებული წესის დაცვით უზრუნველყოს ცენტრალიზებული წესით სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ფონოტეკების იდეურ-მხატვრულად გამართული ჩანაწერებით მომარაგება.

3. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების მუშაობის საკითხებზე, პროპაგანდა გაუწიონ ხალხური და კლასიკური მუსიკის, სასიმღერო შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს.

4. გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე.

5 კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О мероприятиях по упорядочению организации и работы вокально-инструментальных ансамблей при общеобразовательных школах и внешкольных учреждениях в различных регионах республики

29 мая 1986 года

С целью повышения идейно-художественного уровня репертуара и улучшения деятельности вокально-инструментальных ансамблей учащихся за последние годы органами народного образования проведена определенная работа. Отдельные ансамбли своими выступлениями заслужили популярность и заложили основу хорошим традициям (вокалтьно-инструментальные ансамбли «Мзиури», «Аиси», «Аи Иа», «Имеди» Республиканского Дворца пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе г. Тбилиси, Дворцы пионеров и школьнтиов г. г. Кутаиси, Гори, Дом пионеров и школьников г. Самтредиа).

Частично повысилась ответственность руководителей школ и внешкольных учреждений в отношение идейно-тематической направленности программ ансамблей. Улучшился качественный состав руководителей. Большинство из них имеет высшее или среднее специальное музыкальное образование.

Вместе с тем коллегия отмечает, что местными органами народного образования все еще не сделаны соответствующие выводы, вытекающие из приказа Министерства просвещения Грузинской ССР № 713 от 1984 года и не приняты соответствующие меры по улучшению работы вокально-инструментальных ансамблей учащихся, повышению идейно-художественного уровня репертуара, осуществлению эффективного контроля за деятельностью, которая нередко пущена на самотек.

Все еще неудовлетворительны темпы расширения детских вокально-инструментальных ансамблей в г. Тбилиси, где коллективов только два (вокально-инструментальные ансамбли Республиканского Дворца пионеров и школьников им. Б. Дзнеладзе «Мзиури» и Глданского района «Мтиеби»).

Органами народного образования на местах проводится недостаточная организаторская работа по улучшению деятельности ансамблей. В результате этого из 12-ти прослушанных

коллективов 4 вообще не проходили общественной аттестации, необходимой для оценки идейно-художественного, творческого и воспитательного уровня этих коллективов, определения возможности права их публичного выступления.

Совершенствованию программ ансамблей мешает недостаточное количество детских и пионерских песен. В репертуаре редко встречаются произведения высокого гражданского звучания советской песенной и инструментальной классики, национального фольклора, поэтов и композиторов дружественных социалистических стран.

Несмотря на различие жанров, песни нередко идентичны и однообразны. Исполнительский уровень песенных и оркестровых произведений низок (вокально-инструментальные ансамбли Домов пионеров и школьников Маяковского, Цулукидзевского и Душетского районов, средней школы № 1 Абашского района, средней школы села Бакурцихе Гурджаанского района, средних школ № 1 и № 30 г. Кутаиси).

Отдельные руководители ансамблей не совмещают функций педагогов и музыкантов, не проявляют профессионализма (ансамбли «Наперцкали» Дома пионеров и школьников Маяковского района — руководитель Р. Чхеидзе, «Схиви» средней школы № 1 Абашского района — руководитель Р. Джанквеладзе), некоторые же не имеют объязательной профессиональной подготовки, организаторских, творческих и воспитательных способностей и навыков (ансамбль «Шевардени» Дома пионеров и школьников Цулукиздевского района — руководитель А. Калатози).

Органы народного образования, совместно с отделами культуры, не используют существующих возможностей, способствующих систематическому совершенствованию мастерства руководителей и членов ансамблей. Для организации повышения квалификации и оказания методической помощи руководителями коллективов не привлекаются члены творческих коллективов, педагоги специальных училищ и учреждений.

Все еще не упорядочен вопрос педагогической нагрузки руководителей ансамблей в школах. Нарушая существующее законадательство работает руководитель ансамбля «Наперцкали» Дома пионеров и школьников Маяковского района Р. Чхеидзе. Его педагогическая нагрузка превышает две ставки.

Неудовлетворительны условия работы некоторых ансамблей, требует замены электроаппаратура и инструменты (вокально-инструментальные ансамбли Дома пионеров и школь-

кально-инструментальные ансамбли Дома пионеров и школьников Маяковского района и средней школы села Бакурцихе Гурджаанского района). Не учрежден постоянный контроль за созданием фонотек и пополнением существующих фондов. Большинство руководителей ансамблей не имеет возможности использовать нужную информацию относительно новых тенденций в развитии современной музыки.

По причине несвоевременного принятия мер со стороны Республиканского Дома художественного воспитания по сей день не изданы репертуарные сборники, партитуры для детских вокально-инструментальных ансамблей, отвечающие высоким идейно-художественным требованиям, в результате чего ансамбли часто исполняют произведения самодеятельных авторов слабые с точки зрения идейно-художественного содержания.

Вышеуказанные недостатки в значительной степени вызваны тем, что отделы народного образования, директора школ и внешкольных учреждений часто не интересуются существующими на местах обстоятельствами и не проводят надлежащих мероприятий, направленных на улучшение существующего положения, на местах не созданы художественные советы, которые должны рассматривать и утверждать репертуар самодеятельных коллективов (при Домах пионеров и школьников Цулукидзе, Маяковский, Душети; при средней школе № 1 Абашского района, села Бакурцихе Гурджаанского района, при средних школах № 1 и № 30 г. Кутаиси).

С целью улучшения работы вокально-инструментальных ансамблей учащихся коллегия решает:

1. Поручить Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси:

1. 1. Основательно проанализировать и дать принципиальную оценку работе органов народного образования, педагогических коллективов школ и внешкольных учреждений для упорядочения организации и деятельности вокально-инструментальных ансамблей учащихся, повышения идейно-художественного уровня репертуара и исполнительской культуры, провести дополнительные меры, направленные на искоренение выявленных недостатков.

1. 2. Совместно с отделами культуры, комитетами профсоюза и комсомольскими организациями учредить строкий контроль над созданием самодеятельных вокально-инструментель-

ных ансамблей, их выступлениями и идейно-художественным уровнем программ.

1. 3. Способствовать внесению в программы лучших произведений советских авторов, отечественной песенной классики, народного творчества.

1. 4. Развивать сеть любительских объединений, лекторов, вокально-инструментальных ансамблей, пропагандирующих лучшие образцы классики, народной музыки, советских песен.

1. 5. Особое внимание уделить подбору руководителей вокально-инструментальных ансамблей, их подготовке и повышению квалификации, идейно-политическому воспитанию членов коллективов, значительному улучшению воспитаельной работы в коллективах.

1. 6. Повысить ответственность руководителей школ и внешкольных учреждений за проведение единой художественной политики в сфере музыкальной культуры и создании художественых советов в указанных учреждениях.

1. 7. Учредить строгий контроль за трансляцией музыкальных программ в школах, детских парках, городских пионерских лагерях труда и отдыха, внешкольных учреждениях системы Министерства просвещения.

1. 8. Совместно с местными отделами культуры в 1986—1987 годах принять участие в общественной аттестации руководителей вокально-инструментальных ансамблей и освободить от должности лиц, не имеющих соответствующего специального образования.

1. 9. Выделенные и утвержденные для кружковой работы ассигнования использовать на оплату труда руководителей вокально-инструментальных ансамблей.

2. Республиканскому Дому художественного воспитания (тов. Т. Мдивани):

2. 1. С целью создания репертуарных произведений для вокально-инструментальных ансамблей, ежегодно объявлять республиканский конкурс песни.

2. 2. Совменстно с заинтересованными организациями решить вопрос издания репертуарной и методической литературы, детских и пионерских песен в помощь вокально-инструментальным ансамблям.

2. 3. Обеспечить на высоком организационном уровне проведение республиканского конкурса-фестиваля политической и

военно-патриотической песни с участием вокально-инструментальных ансамблей учащихся.

2. 4. Совместно с Центральным институтом усовершенствования учителей ситематически проводить семинары руководителей вокально-инструментальных ансамблей.

2. 5. До конца 1986 года разработать Положение о вокально-инструментальных ансамблях при общеобразовательных школах и внешкольных учреждениях Грузинской ССР.

2. 6. Соблюдая существующие правила, в централизованном порядке обеспечить снабжение фонотек школ и внешкольных учреждений записями высокого идейно-художественного уровня.

3. Редакциям газеты «Сахалхо ганатлеба» и журнала «Скола да цховреба» (т. т. Н. Швелидзе, Р. Дзерия) периодически публиковать материалы о работе вокально-инструментальных ансамблей, пропагандировать лучшие образцы песенного творчества, народную и классическую музыку.

4. Содержание настоящего решения опубликовать на страницах газеты «Сахалхо ганатлеба».

5. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление воспитательной работы (тов. Э. Заркуа).

Председатель коллегии,
Министр Н. Ш. Васадзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება

ქ. ბათუმისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონის სკოლებში ქიმიის სწავლების პროცესში პოლიტექნიკურ მიმართულებათა რეალიზაციის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის მოთხოვნილებიდან გამომდინარე სკოლის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრაში თავისი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სკოლების ქიმიის მასწავლებელთა მრავალრიცხოვან კოლექტივს, რომელთა უმრავლესობა გაკვეთილებს, პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებს, ლაბორატორიულ და სადემონსტრაციო ცდებს, ექსკურსიებს, კლასგარეშე მუშაობას სათანადო დონეზე ატარებს; აძლევს მოსწავლეებს თეორიულ ცოდნასა და მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევებს.

ამასთან ერთად, სკოლის რეფორმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციის ტემპები და სიღრმე არ არის დამაკმაყოფილებელი. ქ. ბათუმისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქიმიის სწავლების პროცესში განათლების შინაარსის პოლიტექნიკურ მიმართულებათა რეალიზაცია ნელა მიმდინარეობს. მთლიანობაში საგნის სწავლების დონე არ შეესაბამება სკოლის რეფორმის მოთხოვნებს.

ზოგ სკოლაში არ სრულდება ქიმიის პროგრამების პრაქტიკული ნაწილი, არ ტარდება ყველა პრაქტიკული სამუშაო, ლაბორატორიული და სადემონსტრაციო ცდა; სასწავლო ექსკურსიებს ეპიზოდური ხასიათი აქვს; კლასგარეშე მუშაობა ერთფეროვანი და შაბლონურია ნალკები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა კვლევით მუშაობაში ჩაბმას. მთლიანად და რაციონალურად არ არის გამოყენებული სწავლებაში ქიმიის კაბინეტებში არსებული თვალსაჩინოება, ზოგან კი კაბინეტები ღარიბია ხელსაწყოებით, ქიმიური ჭურჭლით, რეაქტივებით, ნაბეჭდი თვალსაჩინოებით, ნივთიერებათა კოლექციებით, ყველა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლას როდი აქვს ქიმიის კაბინეტი.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი დაბალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, ვერ აძლევს მოსწავლეებს მყარ ცოდნას. პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, სათანადოდ არ აცნობს ადგილობრივ ქიმიურ და მის მონათესავე საწარმოებს. პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიას, მისი მიმდინარეობის კანონზომიერებებს, საწარმოთა მუშურ პროფესიებს. ამის გამო მათი მოსწავლეების ცოდნა და მომზადება ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს.

ნაკლოვანებები ქიმიის გაკვეთილებზე პოლიტექნიკურ მიმართულებათა რეალიზაციის საქმეში იმის შედეგია, რომ სკოლის, მეთოდურ მძღვანელებს, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ჯეროვანი კონტროლი არ აქვთ დაწესებული საგნის მასწავლებელთა მუშაობისადმი, საჭირო დახმარებას არ უწევენ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

სასკოლო, სასკოლათაშორისო და საქალაქო (რაიონული) მეთოდური გაერთიანებები და კაბინეტები ვერ ახორციელებენ ეფექტურ ღონისძიებებს მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნების უზრუნველყოფისათვის. ბევრ შემთხვევაში მათი მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების საკურსო ღონისძიებათა ხარისხი აშკარად არ შეესაბამება დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს, განსაკუთრებით პროგრამების პრაქტიკულ ნაწილში.

ქ. ბათუმსა და ქ. თბილისის ლენინის რაიონში მასწავლებელთა ატესტაცია ქმედითად არ არის გამოყენებული პედაგოგთა პირადი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდის უზრუნველსაყოფად.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. ქიმიის სწავლების პროცესში **განათლების შინაარსის პოლიტექნიკურ** მიმართულებათა განხორციელების ღონისძიებათა გეგმა დამტკიცდეს (თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2. 1. გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელონ, რათა სკოლის რეფორმის ღონისძიებათა რეალიზაციის ტემპები შეესაბამებოდეს სკკპ 27-ე ყრილობის მიერ აღებულ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიულ კურსს. მუშაობა დაგეგმონ განათლების დაჩქარებული განვითარების, სწავლებისა და აღზრდის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

2. 2. 1986—1987 სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ ქიმიის სწავლების პროცესში განათლების შინაარსის პოლიტექნიკურ მიმართულებათა განხორციელების კომპლექსური გეგმები 1986—1990 წლებისათვის და უზრუნველყონ მათი შესრულება.

2. 3. 1986 წლის ბოლომდე ამ გადაწყვეტილების შუქზე შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საღამოს სკოლებში ქიმიის სწავლების, განსაკუთრებით საგნის სწავლების პროცესში პოლიტექნიკური მიმართულების რეალიზაციის

მდგომარეობა, დასახონ ღონისძიებები მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის.

2. 4. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეადგინონ ქიმიის კაბინეტების მოწყობის რეალური გეგმა იმ არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში, რომელთაც არ აქვთ იგი. კაბინეტების მოწყობისა და თვალსაჩინოებით შევსების საქმეში აქტიურად ჩააბან სკოლების საბაზო საწარმოები და შეფი ორგანიზაციები.

2. 5. ქმედითი კონტროლი დააწესონ ქიმიის მასწავლებელთა მუშაობაზე ქიმიის პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესასრულებლად. მიაღწიონ, რომ სრულყოფილად სრულდებოდეს ყველა პრაქტიკული სამუშაო, ლაბორატორიული და სადემონსტრაციო ცდები, მიზნობრივად ტარდებოდეს სასწავლო ექსკურსიები, კლასგარეშე მუშაობა.

2. 6. საგნის მასწავლებელთა მუშაობა წარმართონ მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტექნიკური აღზრდის უზრუნველსაყოფად, რათა მათ შეგნებულად იცოდნენ ძირითადი არაორგანული და ორგანული ნაერთების წარმოების ტექნოლოგია, ქიმიისა და ფიზიკის კანონებზე დაყრდნობით საწარმოო პროცესების მართვის პრინციპები განსაკუთრებით ადგილობრივი საწარმოების ნედლეული და პროდუქცია, მათი შედგენილობა, ხარისხი და დანიშნულება; ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ ქიმიურ და მის მონათესავე საწარმოებში მუშურ პროფესიებზე: შეეძლოთ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შრომითი საქმიანობის პროცესში, ცხოვრებაში გამოყენება.

2. 7. გაზარდონ მომთხოვნელობა ქიმიის მასწავლებლებისადმი. საქმისადმი პრინციპული მიდგომით ჩაატარონ მათი ატესტაცია. კადრებთან მუშაობის ეს ფორმა საფუძვლიანად გამოიყენონ მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაზრდისა და მათი საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

2. 8. გაადიდონ იმ სკოლებისა და კლასების რიცხვი, სადაც შემოღებული იქნება ქიმიაში ფაკულტატიური კურსის სწავლება.

2. 9. დანერგონ პრაქტიკაში სკოლის დირექტორების, მათი მოადგილეების, მეთოდისტების ანგარიშების მოსმენა განათლების საბჭოზე სკოლებში პოლიტექნიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

3. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ქ. ქ. სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, გორის, ზუგდიდისა და ფოთის სახალხო განათლების განყოფილებებმა 1987—1988 სასწავლო წლიდან დაგეგმონ ქიმიის გაღრმავებული სწავლების შემოღება ერთ-ორ სკოლაში. ქიმიის გაღრმავებული სწავლების სკოლებში (კლასებში) მუშაობა წარმართონ შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ქ. ბათუმისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებმა 1986 წლის ბოლომდე განიხილონ კოლეგიის ეს გადაწყვეტილება, შეიმუშაონ და განახორციელონ თანდართულ ცნობაში აღნიშნული ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებები, მიიღონ ზომები შემოწმებულ სკოლებში სუსტად მომუშავე მასწავლებლების მიმართ.

5. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი) შესაბამისი სექტორის საქმიანობა წარმართოს ქიმიის სწავლების პროცესში განათლების შინაარსის პოლიტექნიკური მიმართულების რეალიზაციის, სწავლების ეფექტურობის ამაღლების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაციის, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოსწავლე ახალგაზრდობის მომზადების აქტუალურ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) უფრო ეფექტური გახადოს საქალაქო და ზონალური ინსტიტუტებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება იმ მიმართებით, რომ მასწავლებელთა დახელოვნების საკურსო ღონისძიებებში მთავარი ყურადღება ეთმობოდეს ქიმიის მასწავლებელთა მოსამზადებას ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარებისათვის; შეიმუშაოს და მასწავლებლებს მიაწოდოს რეკომენდაციები მოსწავლეთა პოლიტექნიკური და ეკონომიკური აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

7. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) უზრუნველყოს ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემათა გეგმაში დროულად ჩასმა და გამოცემა.

8. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) გააძლიეროს მცდელობა ქიმიის კაბინეტების ამწოვი კარადებით, ქიმიური უჭრჭლით, რეაქტივებით და სხვა თვალსაჩინოებით სკოლების მომარაგების უზრუნველსაყოფად. დასვას საკითხი ზემდგომ ორგანოებში ქიმიის კაბინეტებისათვის აღჭურვილობის ფონდების გადიდების შესახებ.

9. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ (ამხ. თ. ჟღენტი) 1987 წლის მარტში წარმოადგინოს კოლეგიის გადაწყვეტილების პროექტი და დებულება ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ.

10. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე):

10. 1. 1986 წლის ბოლომდე დასამტკიცებლად წარმოადგინოს გეგმა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარების შესახებ თემაზე „ქიმიის სწავლების ინტენსიფიკაცია სკკპ 27-ე ყრილობის მოთხოვნათა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შუქზე“.

10. 2. 1986 წლის 1-ლ ნოემბრამდე განსახილველად წარმოადგინოს კოლეგიის გადაწყვეტილების პროექტი და დებულება ქიმიის კაბინეტების 1-ლი რესპუბლიკური ატესტაციის ჩატარების შესახებ.

10. 3. სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე და ინფორმაციები მის შესრულებაზე წარმოადგინოს 1988 და 1990 წლების ბოლოს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ნ. შ. ვასაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

ქ. ბათუმისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქიმიის სწავლების პროცესში განათლების შინაარსის პოლიტექნიკურ მიმართულებათა რეალიზაციის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში სასკოლო ცხოვრების სხვა საკითხებთან ერთად წინა პლანზე არის წამოწეული საბუნებისმეტყველო საგნების როლი მოსწავლეებში მატერიალისტურ-დიალექტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, პოლიტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის მათი უკეთ მომზადების საქმეში.

როგორც დასმული საკითხის შესწავლამ გვიჩვენა ქ. ბათუმისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქიმიის მასწავლებელთა მიერ გაწეული მუშაობა, ძირითადად, შეესაბამებოდა სკოლის წინაშე დაყენებულ ამოცანებს.

ქიმიის მასწავლებელთა უმრავლესობამ კარგად აითვისა 1981 წელს გადამუშავებულ პროგრამებში ახალი შინაარსით მოცემული ქიმიური კინეტიკის, ნივთიერების აღნაგობის, ქიმიური ბმის ბუნების, ორგანულ ნაერთთა აღნაგობის ცალკეული საკითხები და სწავლების მეთოდები, მეტი ყურადღება მიექცა პრაქტიკული სამუშაოების, სადემონსტრაციო ცდების ჩატარებას, ექსკურსიებს ქიმიურ და მის მონათესავე საწარმოებში, ნივთიერებათა მიღების ტექნოლოგიური პროცესების გაცნობას.

გარკვეული ძვრები ქიმიის სწავლებაში განაპირობა საგნის მასწავლებელთა ხარისხობრივმა გაზრდამ, ქიმიის კაბინეტების უკეთ აღჭურვამ და სწავლებაში გამოყენებამ. რესპუბლიკის 3416 ქიმიის მასწავლებლიდან 98,8% უმაღლესი განათლებით ან უმაღლესდაუმთავრებელია. 2665 არასრული საშუალო და საშუალო სკოლიდან ქიმიის კაბინეტი აქვს 82,3%-ს.

შემოწმებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა კარგად იყენებს ქიმიის კაბინეტების სასწავლო-მატერიალურ ბაზას მოსწავლეთა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცებისათვის, მიზნობრივად ატარებს სასწავლო-საწარმოო ექსკურსიებს.

ქიმიის სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების, საგნის სწავლების პროცესში პოლიტექნიკური მიმართულების რეალიზაციის, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით მოსწავლეთა შეიარაღებისა და მნიშვნელოვანი არაორგანული და ორგანული ნაერთების წარ-

მოების ტექნოლოგიური პროცესების გაცნობა-ათვისების საქმეში უკეთესი მაჩვენებლები აქვს ქ. თბილისის 138-ე საშუალო სკოლის მეექვსმეტე კლასის მასწავლებელს ი. მეხტიევას. ამ სკოლის IX-X კლასების მოსწავლეებმა კარგად იციან მნიშვნელოვანი ქიმიური ცნებები და კანონები, მათი პრაქტიკული გამოყენება, ძირითადი ნაერთების წარმოების ტექნოლოგია, სახალხო მეურნეობაში გამოყენება. სწავლებაში მოპოვებული წარმატებები იმის შედეგია, რომ მასწავლებელს კარგად აქვს მოწყობილი ქიმიის კაბინეტი და სათანადოდ იყენებს მას, იცავს კაბინეტში მუშაობის წესებსა და რეაქტივების შენახვის უსაფრთხოებას, სისტემატურად ატარებს პრაქტიკულ სამუშაოებს, ლაბორატორიულ და სადემონსტრაციო ცდებს, სასწავლო-საწარმოო ექსკურსიებს.

ქიმიურ და მის მონათესავე საწარმოებში მიმდინარე პროცესების სისტემატურ გაცნობას და შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქ. ბათუმის 1-ლი და მე-18 საშუალო სკოლების მასწავლებლები ლ. დოლიძე და ვ. კონონოვიჩი. შედეგი ის არის, რომ მათმა მოსწავლეებმა კარგად იციან ქ. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ და ქიმიურ ქარხნებში პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, ნედლეული, პროდუქცია. კარგად ერკვევიან ნავთობის კრეკინგის არსში. საინტერესოა მე-18 საშუალო სკოლაში ექსკურსიების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაცია. გაკვეთილს თემაზე „ნავთობის გადამუშავება" მასწავლებელი კი არ ატარებს, არამედ — ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი (ეს ქარხანა სკოლის საბაზო საწარმოა), რომელიც დაწვრილებით აცნობს მოსწავლეებს ნავთობის შედგენილობას, საბადოებს, ნავთობპროდუქტების რექტიფიკაციის პრინციპს, კრეკინგს, აროომატიზაციასა და იზომერიზაციას. მათს მნიშვნელობას ბენზინის გაკეთილშობილებაში, აგრეთვე პროცესების მიმდინარეობის პირობებს, მართვას. ამის შემდეგ ტარდება ექსკურსია, რომლის დროსაც მოსწავლეები თვალნათლივ ხედავენ იმას, რის შესახებაც გაკვეთილზე იყო ნათქვამი. დაწვრილებით ეცნობიან აგრეთვე მუშურ პროფესიებს, მათი შრომის პირობებს, შეღავათებსა და წახალისების საშუალებებს.

ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეები კარგად ერკვევიან ლითონების კოროზიის არსში, მისი აცილების საშუალებებში, იციან ზღვის წყლის მეტად არასასურველი გავლენის შესახებ ლითონებსა და მათს შენადნობებზე.

მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია პრაქტიკული სამუშაო VII კლასში გარკვეული მასული წილის მქონე ხსნარის მომზადებაზე, რომლის დროსაც მოსწავლეები უნდა გაეცნონ ნივთიერების აწონვასა და გახსნის პროცესს, მიიღონ შესაბამისი ჩვევები. იმისათვის, რომ პრაქტი-

კულ სამუშაოს მეტი აღმზრდელობითი და შემეცნებითი ხასიათი მი-
ეცეს, ქ. ბათუმის მე-3 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს
რაკოვსკაიას მოსწავლეები წინასწარ მიჰყავს ქალაქის აფთიაქში. იქ
მოსწავლეები აკვირდებიან ნივთიერებათა აწონვის პროცესს ანალი-
ზურ სასწორზე, წვრილსაწონების ხმარებას, ნივთიერების გახსნას,
ჭურჭლის გასუფთავებას, წყლის გამოხდას სადისტილაციო აპარატით,
შემდეგ კი სკოლაში თვითონვე ასრულებენ პრაქტიკულად.

კარგად მუშაობს ქ. თბილისის 113-ე საშუალო სკოლის ქიმიის
მასწავლებელი ი. რუხაძე. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიისა და ბიოლო-
გიისათვის ერთი კაბინეტია გამოყოფილი და ამ მხრივ სკოლა სივიწ-
როვეს განიცდის, მასწავლებლის მცდელობით საგნის სწავლებისათვის
დამაკმაყოფილებელი პირობებია შექმნილი. საკმარისი რაოდენობით
აქვთ ქიმიური ჭურჭელი და რეაქტივები, ნაბეჭდი თვალსაჩინოება,
სწავლების ტექნიკური საშუალებები. ყოველივე ეს ჩაყენებულია მყა-
რი ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღების სამსახურში. ტარდება პრაქ-
ტიკული სამუშაოები, ლაბორატორიული და სადემონსტრაციო ცდე-
ბი. გაკვეთილის ყოველ ახალ თემას მასწავლებელი კარგად იყენებს
მოსწავლეთა პოლიტექნიკური ჰორიზონტის გასაფართოებლად. მან IX
კლასში ალუმინისა და მისი შენადნობების გამოყენება კარგად დაუ-
კავშირა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების
1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართუ-
ლებებს.

დამაკმაყოფილებლად არის აღჭურვილი და გამოყენებული ქიმიის
კაბინეტები ქ. თბილისის მე-8, მე-12, მე-14, 129-ე, 149-ე და ზოგ სხვა
სკოლაში.

ამასთან ერთად, შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ქიმიის, განსაკუთრე-
ბით კი მისი პრაქტიკული ნაწილის სწავლებაში სერიოზული ხარვეზე-
ბი და ნაკლოვანებებია. მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა ჯერ კიდევ
სათანადოდ ვერ აღიქვა სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებე-
ბის მოთხოვნები — მიეცეს მოზარდ თაობას მეცნიერბათა საფუძვლე-
ბის ღრმა და მტკიცე ცოდნა, გამოუმუშავდეთ მათ ამ ცოდნის პრაქ-
ტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბდეთ მატერიალის-
ტური მსოფლმხედველობა, გაუძლიერდეთ განათლების შინაარსის პო-
ლიტექნიკური მიმართულება, მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ-
ლაბორატორიულ მეცადინეობებს, ქიმიის კანონების ტექნოლოგიური
გამოყენების ჩვენებას და ამით შეიქმნას საფუძველი ახალგაზრდობის
შრომითი საქმიანობის მოსამზადებლად.

მეტად სუსტად მუშაობს ქ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლის
ქიმიის მასწავლებელი ა. იაკობაშვილი, იგი პენსიაზეა, ამავე დროს
მისი კვირეული დატვირთვა 20 საათს შეადგენს. მასწავლებელი არ

ზრუნავს საგნის სწავლების რეფორმის მოთხოვნათა დონეზე დაყენებისათვის. ის კი არა და დამაკმაყოფილებლადაც ვერ ასწავლიან ცნობს სახელმწიფო პროგრამას. იშვიათად, ზერელედ ატარებს პრაქტიკულ სამუშაოებს, აღრევა აქვს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში. ფორმალურად, ვალის მოხდის მიზნით ატარებს საკონტროლო წერებს. არც ქიმიის კაბინეტი აქვს მოვლილი და გამოყენებული. კაბინეტს არ აქვს რეაქტივები საკმარისი რაოდენობით, დარღვეულია რეაქტივების შენახვისა და ხმარების წესები. არ არის სახანძრო უშიშროების ინვენტარი და მოწყობილობა. ყურადღება არ ექცევა კაბინეტის შევსებას მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოებით, სტენდებით, ტაბულებით, არ ეწყობა სასწავლო ხასიათის ექსკურსიები, წრეობრივი მუშაობა მხოლოდ ქაღალდზეა, ისიც არასრულყოფილადაა გაფორმებული.

მასწავლებლის უპასუხისმგებლო, სუსტი მუშაობის შედეგია ის, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონე მეტად დაბალია. მათ არ იციან მნიშვნელოვანი სამრეწველო პროდუქტების — ამიაკის, აზოტმჟავას, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოების ტექნოლოგიის საფუძვლები. VIII კლასის მოსწავლეებმა დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემაც კი არ იციან, მეტად ზედაპირული წარმოდგენა აქვთ დაჟანგვის ხარისხზე, ჟანგვა-აღდგენის რეაქციებზე და სხვ. ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისათვის ადრეც იყო ცნობილი ყოველივე ეს, მაგრამ რადიკალური ღონისძიება არ გაუტარებია. პენსიონერი მასწავლებლის 20 საათით დატვირთვა, როცა ქალაქში ახალგაზრდა სპეციალისტებია აღრიცხვაზე, არაფრით არ არის გამართლებული მით უმეტეს, რომ სკოლაში საგნის სწავლება ჩავარდნილია. საჭიროდ მიგვაჩნია, რაონის განათლების განყოფილებამ მიიღოს ქმედითი ზომები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქ. ბათუმის მე-10 საშუალო სკოლაში ქიმიის სწავლების შესახებ. ოფიციალურად ცნობილი იყო, რომ ამ სკოლაში საგანი ისწავლება გაღრმავებული პროგრამით. საკითხის ადგილზე შესწავლამ გვიჩვენა, რომ აქ დარღვეულია გაღრმავებული სწავლების სასწავლო გეგმა და პროგრამა. იმის ნაცვლად, რომ საგნის სწავლების გაღრმავების მიზნით შემოეღოთ ქიმიური ანალიზის საფუძვლები, ქიმია მრეწველობაში და სპეციალური კურსი საბაზო საწარმოს პროფილის შესაბამისად, IX-X კლასებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ 3-3 საათს დაუმატეს ფაკულტატიური მეცადინეობისათვის გათვალისწინებული 3-3 საათი და შემოიღეს 6-6 საათიანი თვითნებური „უპროგრამო კურსი“. არადა, ქიმიას ამ სკოლაში საკმაოდ გამოცდილი პედაგოგები ე. საფაროვა და ე. ზორინა ასწავლიან. ამასთან, ე. საფაროვა სკოლის დირექტორია.

მასწავლებლებს არ აღმოაჩნდათ მაღალ კლასებში („ქიმიურ კლასებში“, როგორც თვითონ უწოდებენ) კვირეული დატვირთვის

ცოტად თუ ბევრად შესატყვისი პროგრამები. საათების გადიდების ხარჯზე, ბუნებრივი იყო, გაედიდებიათ პრაქტიკული სამუშაოების რაოდენობა და მოცულობა, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. ის კი არადა სადემონსტრაციო და ლაბორატორიულ ცდებსაც შეზღუდულად ატარებენ. IX კლასში რკინის შესწავლის დროს მასწავლებელს ე. ხორინას მხედველობიდან გამორჩა ეჩვენებინა რკინის დამოკიდებულება კონცენტრირებულ აზოტმჟავასა და გოგირდმჟავასთან. ყურადღება გაემახვილებია α და γ რკინაზე, კოროზიისაგან რკინის საგნების დაცვაზე. სამაგიეროდ მან დიდი დრო მოანდომა ქრომის ნაერთების თვისებების გამეორება-განმტკიცებას. უსისტემოდ ჩაატარა იმავე მასწავლებელმა გაკვეთილი X კლასში ამინომჟავებზე. ფაქტობრივად ეს გაკვეთილი მთლიანად მიეძღვნა თუთიის ჰიდროქსიდის ამფოტერული თვისებების დახასიათებას. იმის მაგიერ, რომ დაწვრილებით გაერჩიათ ამინომჟავების თვისებები და მათი ბიოლოგიური როლი, მოსწავლეებს დააკალა ალუმინის ჰიდროქსიდის მიღება და მისი ამფოტერობის დამტკიცება. ამ სკოლაში საკმარისი მუშაობა არ ტარდება პრაქტიკული საქმიანობისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად. IX კლასის მოსწავლეები სუტად ერკვევიან თვით ქალაქის ქიმიური საწარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში, არ იციან ქიმიური ქარხნის ხელოვნური, პროდუქცია, ეკონომიკა. X კლასის მოსწავლეებს მეტად ზერელე წარმოდგენა აქვთ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მიმდინარე ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებზე. მათ ისიც კი არ იციან, რომ ქ. ბათუმში მოსახლეობა საყოფაცხოვრებო მიზნით საწვავად ხმარობს ადგილობრივ ქარხანაში ნავთობის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილ გათხევადებულ გაზებს. გაუმჯობესებას მოითხოვს მოსწავლეთა ეკონომიკური აღზრდა გაკვეთილებზე ცალკეული თემების შესწავლის პროცესში.

სუსტად ხორციელდება მოსწავლეთა განათლების პოლიტექნიკური მიმართულება და საგანთა ურთიერთკავშირი ქ. ბათუმის მე-7 და მე-8 საშუალო სკოლებში. მე-7 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა ე. ჩახალიანმა ალუმინის ელექტროლიზური მიღების ახსნის დროს მოსწავლეთა ყურადღება არ შეაჩერა ტექნოლოგიური პროცესების მართვაში ფიზიკის კანონების გამოყენებაზე. არ თქვა იმის შესახებ, რომ პროდუქციის (ალუმინის) გაიაფება მთლიანად არის დამოკიდებული ელექტროენერგიის გაიაფებაზე, რასაც დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში. მე-8 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა გ. ტარანმა თუჯის წარმოებაზე საუბრის დროს მთავარი ყურადღება მიაქცია მიმდინარე ქიმიურ პროცესებს და არაფერი თქვა ტექნოლოგიაზე, მის მართვასა და ავტომატიზაციაზე.

შეიმჩნევა, რომ ქიმიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი ბელყოფს სადემონსტრაციო ცდების უპირატეს როლს ქიმიური ექსპერიმენტის სხვა სახეებთან შედარებით. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლები ერიდებიან შედარებით რთული სადემონსტრაციო ცდების ჩატარებას, განსაკუთრებით ორგანულ ქიმიაში. ბევრი მათგანისათვის გადაულახავ ბარიერად ქცეულა ბენზოლის ბრომირება და ნიტრირება, ბრომეთილის მიღება, ტოლუოლის დაჟანგვა, ნავთის კრეკინგი, ნახშირწყლების (სახამებლის, ცელულოზის) ჰიდროლიზი და ზოგი სხვა. ქ. ბათუმის მე-18 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა VII კლასში იმისათვის, რომ არ ჩაუტარებია ცდა წყლის ურთიერთმოქმედებაზე არალითონების ოქსიდებთან, თემის დასაწყისი და ბოლო ნაწილი ახსნა, დავალებაც შესაბამისად მისცა, შუა ნაწილი კი სრულიად გაუმართლებლად გამოტოვა.

ქ. ბათუმის 21-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა რ. ქოიავამ გაკვეთილზე არ აჩვენა რკინის (II) ჰიდროქსიდის მიღება, მისი დაჟანგვა ჰაერზე რკინის (III) ჰიდროქსიდად, ორ-და სამვალენტიანი რკინის იონების თვისებითი რეაქციები, რაც ლაბორატორიული ცდის ჩატარებით არის გათვალისწინებული, და, თუ ეს ვერ შეძლო, სადემონსტრაციო ცდა მაინც უნდა ჩაეტარებია. იმის გამო, რომ გაკვეთილები დაბალ დონეზე ტარდება სერიოზული ხარვეზებია ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების საქმეში და ნაკლები ყურადღება ექცევა კლასგარეშე მუშაობას, ამ სკოლის მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია.

არის შემთხვევები, როცა მასწავლებლები არღვევენ პროგრამის მოთხოვნებს და მოსწავლეებს ზედმეტად ტვირთავენ. წყალში უხსნადი ფუძეების მიღება მარილისა და ტუტის ხსნარის ურთიერთქმედებით მხოლოდ IX კლასში ისწავლება. ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ლ. ბურიაკმა კი თემის „ფუძეები, ტუტეები“ ახსნის დროს VII კლასის მოსწავლეებს შეასრულებინა ლაბორატორიული ცდა სპილენძის (II) ჰიდროქსიდის მიღებაზე. უმჯობესი კი იყო მას პროგრამით გათვალისწინებული სხვა ცდები ჩაეტარებინა.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობას კარგი პირობები აქვს ქიმიის კაბინეტების საუკეთესოდ მოწყობისათვის. საამისოდ სკოლებში არის საკმარისი რაოდენობისა და ნომენკლატურის რეაქტივები, ჭურჭელი, ხელსაწყოები, სწავლების ტექნიკური საშუალებები. მიუხედავად ამისა ქიმიის კაბინეტები ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის მოწყობილი და სწავლების სამსახურში ჩაყენებული. უფრო მეტიც, დარღვეულია ქიმიური რეაქტივების შენახვის წესები. ეს ითქმის ქ. ბათუმის უმრავლეს შემოწმებულ სკოლაზე. ზოგან კაბინეტებში ინახება ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ნუსხით არ არის გათვალისწინებული, დაცული არ არის უსაფრთხოების წესები, უმეტესობას არ აქვს პირველი დახმარების საშუალებები.

სერიოზული ნაკლოვანებებია კლასგარეშე მუშაობაში. მართალია ყველა სკოლაშია შექმნილი ნორჩ ქიმიკოსთა წრეები, მაგრამ ეროვნული მუშაობა გაუმჯობესებას მოითხოვს. ბევრ შემთხვევაში წრეების საშუშაო გეგმებით მხოლოდ რეფერატული ხასიათის თემების დამუშავება არის გათვალისწინებული. ნაკლები ყურადღება ექცევა პრეპარატორულ მუშაობას, თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებას, ბუნების დაცვის პრობლემებსა და სხვა.

საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ნელა ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის ღონისძიებები ქიმიის სწავლების დარგში. არ იგრძნობა წინსვლა. მასწავლებელთა უმრავლესობა მოძველებული მეთოდებით მუშაობს. არ ინერგება სიახლე. მთავარი ყურადღება გადატანილია საგნის სწავლების თეორიულ ნაწილზე, ხოლო მისი პრაქტიკული მხარე, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უკანა პლანზე რჩება.

საგნის სწავლებაში ნაკლოვანებების ერთ-ერთი მიზეზია მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლი. არ იგრძნობა მომთხოვნელობის გაზრდა სკოლის დირექციის მხრივ. გაკვეთილებზე დასწრების, კლასგარეშე მუშაობის შემოწმებისა და მთლიანად საგნის სწავლების მდგომარეობის განხილვის დროს ღრმად არ წვდებიან სასწავლო პროცესის არსში. იფარგლებიან მხოლოდ მოსწავლეთა თეორიული ცოდნის დონის, პროგრამული მასალის გავლის, გაკვეთილების ორგანიზაციის ანალიზით, ხოლო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა ცოდნის სიღრმეს, თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან კავშირს, პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულებას და საჭირო მითითებებს და დავალებებს არ აძლევენ პედაგოგებს.

სუსტად მუშაობენ სასკოლო, სასკოლათაშორისო და რაიონული მეთოდური გაერთიანებები. საქალაქო და რაიონული მეთოდური კაბინეტები მოწინავე გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და გავრცელების საქმეში. არ ხდება მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდების შესახებ. ჩატარებული ღია გაკვეთილები მხოლოდ კარგად დადგმული სპექტაკლებია. მართალია, როგორც ქ. ბათუმის, ისე ქ. თბილისის ლენინის რაიონის მეთოდურ კაბინეტებს გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული, რეგულარულად იხილავენ ქიმიის სწავლების, კაბინეტების მოწყობისა და გამოყენების საჭირბოროტო საკითხებს, მიღებულია დადგენილებები, მითითებები და რეკომენდაციები. მაგრამ ადგილებზე მათ ცუდად ასრულებენ. მიზეზი მომთხოვნელობის შესუსტებაა.

ზოგი მასწავლებლის დაბალი მომზადება, განსაკუთრებით ქიმიის პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების საქმეში. იმის მაჩვენებელია, რომ მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე სათანა-

დოდ არ არის გამახვილებული ყურადღება ამ საკითხებზე. საჭიროდ მოითხოვს საკურსო ღონისძიებებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შედარებით რთული სადემონსტრაციო ცდებისა და [illegible] კული სამუშაოების ჩვენებას, ჩატარების მეთოდიკის დამუშავებას, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა-გამოყენებას ისე, რომ კურსებგავლილ მასწავლებელს, რომელმაც ცნობა მიიღო, არ უნდა უჭირდეს ცდების ჩატარება.

ნაკლოვანებები ქიმიის სწავლებაში ნაკლები იქნებოდა მასწავლებლებს საკმარისი რაოდენობით რომ ჰქონოდათ მეთოდური ლიტერატურა, დამხმარე სახელმძღვანელოები, ნაბეჭდი თვალსაჩინოება, არც მოსწავლეებს აქვთ პოპულარული ლიტერატურა ქართულ ენაზე. მართალია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მუშაკების მიერ ბოლო წლებში საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია მომზადდა, მათ შორის „სადემონსტრაციო და ლაბორატორიული ცდების ჩატარების მეთოდიკა“, „ქიმიური საწარმოების შესწავლა, როგორც მოსწავლეთა პოლიტექნიკური და ეკოლოგიური აღზრდის საფუძველი“, „კლასგარეშე მუშაობა ქიმიაში“, „ქიმიის გაკვეთილების ეფექტურობის ამაღლებისათვის, „ქიმიის დამხმარე ხელი“ და სხვა, მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი მასწავლებლებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია მეტად მცირე ტირაჟის გამო.

თვით განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის სპეციალისტებმა ვერ გასწიეს საჭირო ორგანიზატორული მუშაობა საგნის სწავლების გაუმჯობესებისათვის. ნაკლები ყურადღება ექცეოდა საინსპექტორო შემოწმებებს, ადგილებზე მდგომარეობის გარკვევას, კოლეგიის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმებას. სათანადოდ არ ხდებოდა განათლების სამინისტროს, მისი მეთოდური კაბინეტის, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მუშაკთა მუშაობის კოორდინირება, სუსტად მუშაობდა სასწავლო-მეთოდური სიბჭო. სათანადო კონტაქტი არ იყო დამყარებული სახელმწიფო უნივერსიტეტის, პედაგოგიკური და მეცნიერებათა აკადემიების ქიმიის ინსტიტუტების კათედრებთან და განყოფილებებთან.

ქიმიის სწავლების გაუმჯობესების, განსაკუთრებით ქიმიის სწავლების პროცესში განათლების შინაარსის პოლიტექნიკური მიმართულების გაძლიერების მიზნით საჭიროა დაისახოს ღონისძიებათა გეგმა 1990 წლამდე პერიოდისათვის და გაწეულ იქნეს სათანადო ორგანიზატორული მუშაობა მის შესასრულებლად.

სკოლების სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1986 წლის 29 მაისს

ქიმიის სწავლების პროცესში განათლების შინაარსის პოლიტექნიკური მიმართულების რეალიზაციის ღონისძიებათა გეგმა 1986—1990 წლებისათვის

1	ღონისძიებათა დასახელება	შემსრულებელი	შესრულების ვადები	შესრულების ფორმა და კონტროლი
	2	3	4	5
1	საინსტრუქციო წერილის მომზადება ქიმიის ახალი პროგრამებითა და მოქმედი სახელმძღვანელოებით სარგებლობის შესახებ.	სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი	1986 წელი	წერილის მომზადება, კამრავლება და დაგზავნა
2	რეკომენდაციების მომზადება ქიმიის გაკვეთილებზე სკკპ 27-ე ყრილობის მასალების შესწავლის შესახებ.	სკოლების სამმართველო, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი	1986 წელი	რეკომენდაციების შემუშავება, მათი გამრავლება და დაგზავნა ან გაზეთში გამოქვეყნება
3	მეთოდიკური რეკომენდაციების მომზადება: ა) „მოსწავლეთა ეკონომიკური აღზრდა ქიმიის სწავლების პროცესში".	მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი	1987 წელი	რეკომენდაციების შემუშავება და ადგილებზე დაგზავნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5
	ბ) „მოსწავლეთა პოლიტექნიკური დონის ამაღლება ქიმიის სწავლების პროცესში“.	პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	1988 წელი	
4	ქიმიის გაღრმავებული სწავლების პროგრამების გამოსაცემად მომზადება და გამოცემა.	სკოლების სამმართველო, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სახელმძღვანელოების სამმართველო	1987 წელი	პროგრამების თარგმნა და გამოცემა
5	ქიმიის გაღრმავებული სწავლების სკოლებისა და კლასების ორგანიზება ქ. ქ. თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ზუგდიდში, ცხინვალსა და გორში.	სკოლების სამმართველო, შესაბამისი ქალაქების განათლების განყოფილებები (სამმართველო)	1987—1988 წ. წ.	ბრძანებები ასეთი სკოლების ჩამოყალიბების შესახებ. მივლინება ქალაქებში
6	ქიმიის ფაკულტატიური კურსის სწავლების შემოღება რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ორ-სამ სკოლაში მაინც.	სახალხო განათლების განყოფილებები	1986—1990 წ. წ.	მივლინებები ადგილებზე, ინფორმაციები
7	ქიმიის სწავლების პოლიტექნიკურ მიმართულებათა გაძლიერების მიზნით მასწავლებელთა და მოსწავლეთა დასახმარებლად კრებული „საქართველოს ქიმიური და მისი მონათესავე საწარმოები	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო	1988—1989 წ. წ.	მასალების შეკრება, სისტემაში მოყვანა, მეთოდურ საბჭოზე გატანა და გამოცემა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5
	(ნედლეული, ტექნოლოგიური პროცესები, პროდუქცია, ეკონომიკა)“ მომზადება და გამოცემა.			
8	მასწავლებელთათვის დამხმარე სახელმძღვანელოს „მოწყობილობა და მითითებები სადემონსტრაციო ცდების ჩასატარებლად“ (ავტორები: ზ. ლომსიანიძე, ა. ზაქარიაშვილი) მომზადება და გამოცემა.	სახელმძღვანელოების სამმართველო	1988 წელი	სახელმძღვანელოს შედგენა და გამოცემა
9	მასწავლებელთა და მოსწავლეთა დამხმარე სახელმძღვანელოს „ამოცანები და სავარჯიშოები ქიმიაში“ (ავტორი ზ. ლომსიანიძე) გამოცემა.	სახელმძღვანელოების სამმართველო	1986 წელი	დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა
10	მასწავლებელთა დასახმარებლად დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ნაბეჭდი თვალსაჩინოების გამოცემა: ა) „მოსწავლეთა პროფორიენტაცია ქიმიის სწავლების პროცესში“ (თარგმანი, ავტორები: ს. დიაჩკოვიჩი, რ. კნიაზევა); ბ) „ქიმიის კაბინეტი“ (თარგმანი, ავტორები: ა. გრაბეცკი, ტ. ნაზაროვა); გ) „ტაბულები ქიმიაში“ (ნაბეჭდი თვალსაჩინოება გადმოქართულებული უ. კემულარიას და ქ. დემეტრაძის მიერ);	სკოლების სამმართველო სახელმძღვანელოების სამმართველო	1987—1990 წ. წ.	თარგმნა, სასწავლო-მეთოდურ საბჭოზე განხილვა და გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	
11	ქიმიის კაბინეტების მოწყობის 1986—1990 წლების გეგმის შედგენა და მისი რეალიზაცია.	სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები	გეგმა 1986 წ. რეალიზაცია 1986—1990 წ. წ.	გეგმის შედგენა, მისი რეალიზაცია, ადგილებზე დახმარების გაწევა, ინფორმაცია შესრულებაზე
12	ქიმიის კაბინეტების რესპუბლიკური ატესტაციის ჩატარება.	სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები	1987—1988 წ. წ.	კაბინეტების გახსნა და მოწყობა, შემოწმებები, მივლინებები, ინფორმაციები, კოლეგიის გადაწყვეტილებები
13	ნორჩ ქიმიკოსთა კოლექტივების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარება.	სკოლების სამმართველო, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე	1987—1988 წ. წ.	დებულების შემუშავება, ადგილებზე დახმარების გაწევა, მივლინება, ინფორმაციები, კოლეგიის გადაწყვეტილება
14	ქიმიის პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში და საჭირო და-	სკოლების სამმართველო, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რეს-	1986—1988 წ. წ.	მივლინებები ადგილებზე, ინფორმაციები გაწეული მუშაობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5
	ხმარების გაწევა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.	პუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი		
15	ქიმიის სწავლების პროცესში განათლების შინაარსის პოლიტექნიკური მიმართულების რეალიზაციის თაობაზე განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში (შერჩევით).	სკოლების სამმართველო, **პედაგოგიკურ მეცნიერებათა** სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი	1988—1990 წ. წ.	მივლინებები ადგილებზე, ინფორმაციები გაწეული მუშაობის შესახებ, კოლეგიის გადაწყვეტილება
16	მასწავლებლებისადმი მეთოდური დახმარების გაწევა საგნის სწავლების ცალკეულ საკითხებზე.	მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი	1986—1990 წ. წ.	მუშაკების ადგილებზე მივლინება, მოხსენებითი ბარათების შედგენა, **მათზე** რეაგირება, წერილების მომზადება
17	სკოლების უზრუნველყოფა ქიმიის კაბინეტებისათვის ამწოვი კარადებით.	მომარაგების მთავარი სამმართველო	1986—1988 წ. წ.	ამწოვი კარადების დამზადების ან შემოტანის ორგანიზაცია
18	ხელსაწყოებით, ქიმიური ჭურჭლით, რეაქტივებითა და მასალებით ქიმიის კაბინეტების უკეთ მომარაგების მიზნით დამატებითი ღონისძიებების გატარება.	მომარაგების მთავარი სამმართველო	1986—1990 წ. წ.	მომარაგების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და ღონისძიებების გატარება, ინფორმაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5
19	რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება თემაზე „ქიმიის სწავლების ინტენსიფიკაცია სკკპ 27-ე ყრილობის მოთხოვნილებათა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შუქზე“.	სკოლების სამმართველო, პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელ-დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი	1989 წელი	გეგმის შედგენა და დამტკიცება, მოხსენების რეცენზირება, ინფორმაცია შედეგებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება

შრომითი სპეციალობით „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების განკარგულებით „პროგრამისტ-ლაბორანტის“ პროფილით მოსწავლეთა მომზადების მიზნით რესპუბლიკის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების ფარგლებში შემოღებულ იქნა „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ სწავლება. ამავე განკარგულებებით დამტკიცდა საშუალო სკოლების საბაზო საწარმოები — რესპუბლიკის დარგობრივი გამოთვლითი ცენტრები, გამოთვლითი სადგურები და სხვა ორგანიზაციები.

1986 წლის მარტსა და აპრილში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოსა და მთავარი გამოთვლითი ცენტრის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე რესპუბლიკის სკოლებისა და საბაზო საწარმოების დიდ ნაწილში სწავლებისათვის დამაკმაყოფილებელი პირობებია შექმნილი.

საბაზო საწარმოთა ერთმა ნაწილმა შეიძინა და სკოლებს გადასცა გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარმა გამოთვლითმა ცენტრმა ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლას გადასცა დისპლეის კლასი სააბონენტო პუნქტი АП—64-ის ბაზაზე, მოაწყო გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის კაბინეტები, სადაც რეგულარულად პრაქტიკულ მეცადინეობას გადიან ცენტრზე მიმაგრებული საშუალო სკოლების IX-X კლასების მოსწავლეები. 1986 წლიდან დაიწყო ცენტრში დამუშავებული ავტომატიზებული მასწავლი-მაკონტროლებელი კურსების დანერგვა იმ საწარმოებში, რომლებსაც სათანადო ტიპის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები აქვთ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში თავისი წვლილი შეიტანეს სხვა უწყებებმა და ორგანიზაციებმაც.

ზემოთ აღნიშნული სკოლების „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ მასწავლებლები ხელმძღვანელობენ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამით, მასწავლებლებად შერჩეული არიან საბაზო საწარმოთა სპეციალისტები. სწავლებისას ყურადღება გამახვილებულია სასწავლო პროგრამის იმ საკითხებზე, რომელთა ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა მოცემულ საწარმოშია შესაძლებელი.

ამასთან, „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ სწავლების საქმეში არის ნაკლოვანებებიც.

ზოგიერთ საბაზო საწარმოს, როგორიცაა: ცეკავშირის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი (თბილისის მე-60 საშუალო სკოლა), საქართველოს სსრ სახმომარაგების რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრი (თბილისის 170-ე საშუალო სკოლა), საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი (თბილისის მე-14 საშუალო სკოლა), დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის გამოთვლითი ცენტრი (თბილისის 82-ე საშუალო სკოლა), საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გორის რაიონული საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი (გორის რაიონის სოფელ ხელოუბნის სასწავლო-საწარმოო კომბინატი) აქვს სათანადო ტექნიკური ბაზა და ჰყავს შესაბამისი სპეციალისტები, მაგრამ სწავლების დონე ძალზე დაბალია, უზრუნველყოფილი არ არის პრაქტიკული მეცადინეობა გამოთვლითმანქანებზე.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ საბაზო საწარმოთა შერჩევის დროს რაიონული განათლების განყოფილებების მიერ დაშვებულია შეცდომები — არ არის გათვალისწინებული საწარმოთა მატერიალური ბაზის ფაქტობრივი შესაძლებლობა.

7 სკოლასა და საწარმოში არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულება (იხ. დანართი). არ არის მოგვარებული სასწავლო საათების ანაზღაურების საკითხი. მთელ რიგ სკოლებში ანაზღაურებისას არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 11 მაისის № 94 ბრძანება, სადაც მითითებულია, რომ შრომის მასწავლებლებს სპეციალობით მუშაობა პედაგოგიური მუშაობის სტაჟში უნდა ჩაეთვალოთ. პრაქტიკული მეცადინეობების დროს ბევრგან კლასს არ ჰყოფენ ორ ჯგუფად, როცა მოსწავლეთა რაოდენობა 25-ზე მეტია, რაც უარყოფითად მოქმედებს სწავლების ხარისხზე. ასეთი მდგომარეობა საგრძნობლად აფერხებს მაღალკვალიფიციური კადრების სკოლებში დამაგრებას. რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში არ ხდება კლასების დაკომპლექტება ფიზიკა-მათემატიკით დაინტერესებული მოსწავლეებით. დღემდე გადაუჭრელია „პროგრამისტ-ლაბორანტის“ სპეციალობის მინიჭების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის საკითხი.

„პროგრამისტ-ლაბორანტის“ შრომითი სპეციალობით „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს ქ. თბილისის 1-ლი, 27-ე, 37-ე, 41-ე, 43-ე, 51-ე, 53-ე, 65-ე, 101-ე, 155-ე, ქ. ბათუმის მე-5, მე-7, ქ. ცხინვალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-6, ქ. რუსთაველის მე-15, ქ. ჭიათურის 1-ლი, ქ. ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლებისა და მათი საბაზო საწარმოების ერთობლივი მუშაობა „პროგრამისტ-ლაბორანტის“ სპეციალობით მოსწავლეთა მომზადებაში.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე):

2. 1. შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილებასთან (ამხ. ვ. ბექაშვილი), მთავარ გამოთვლით ცენტრთან (ამხ. გ. გვარამია) ერთად:

— 1986 წლის 1-ლ აგვისტომდე მოამზადოს წინადადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად საბაზო საწარმოებისა და მათზე მიმაგრებული სკოლების სიებში ცვლილებების შეტანის შესახებ, საბაზო საწარმოების თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით აღჭურვის გათვალისწინებით. მხედველობაში მიიღოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების საბაზო საწარმოებად განსაზღვრა.

2. 2. საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილებასთან ერთად (ამხ. ვ. ბექაშვილი) ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და გამოსცეს „პროგრამისტ-ლაბორანტის“ კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმა და მისი გაცემის ინსტრუქციები.

2. 3. შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილებასთან (ამხ. ვ. ბექაშვილი), საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან (ამხ. ო. კერესელიძე) ერთად, მაღალკვალიფიციური კადრების სკოლებში დამაგრებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით მოამზადოს და 1986 წლის 1-ლ აგვისტომდე სახალხო განათლების ორგანოებს დაუგზავნოს სათანადო მეთოდიკური მითითებანი საგნის მასწავლებელთა სასწავლო საათების ანაზღაურებისა და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით მოსწავლეთა ჯგუფების ფორმირების შესახებ.

3. შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილებამ (ამხ. ვ. ბექაშვილი) გააძლიეროს კონტროლი „პროგრამისტ-ლაბორანტის“ სპეციალობით მოსწავლეთა მომზადების მიმდინარეობაზე და პერიოდულად მოისმინოს განათლების განყოფილებების ანგარიშები ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

4 მთავარმა გამოთვლითმა ცენტრმა (ამხ. გ. გვარამია) უზრუნველყოს საბაზო საწარმოებსა და სკოლებში მე-6 კლასის ალგებრის მე-8 კლასის ფიზიკისა და მე-4 კლასის ინგლისური ენის ავტომატიზებული მაკონტროლებელი კურსების ფართო დანერგვა.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) 1986 წლის 1-ლ სექტემბრამდე უზრუნველყოს ავტომატიზებული მაკონ-

ტროლებელი კურსებისათვის ალბომებისა და მეთოდური გამოცემა.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ მასწავლებელთა (ძირითადად, საბაზო საწარმოების სპეციალისტების) პედაგოგიურ და მეთოდურ საკითხებში გადამზადების შესახებ 1986 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

7. ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ საბაზო საწარმოთა შესახებ, რომლებმაც არ შეასრულეს საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების განკარგულება (დანართი თან ერთვის).

8. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ქ. თბილისის 26 კომისრის (ამხ. ა. ღამბაშიძე), გლდანის (ამხ. ნ. კერესელიძე), ქ. ფოთის (ამხ. ა. დარჯანია), ჩხოროწყუს (ამხ. ლ. გორდულაძე), ყვარლის (ამხ. ზ. იოსებაშვილი), გარდაბნის (ამხ. ზ. ზაქარეიშვილი), ზესტაფონის (ამხ. გ. ბურჯანაძე), წყალტუბოს (ყოფილი გამგე ამხ. მ. ინასარიძე), ქარელის (ყოფილი გამგე ამხ. ვ. ბაქრაძე) ტყიბულის (ამხ. ბ. ორჯონიკიძე), აბაშის (ამხ. ა. ცანავა), გულრიფშის (ამხ. ნ. სართანია) რაიონების განათლების განყოფილებათა მუშაობა „პროგრამისტ-ლაბორანტის“ სპეციალობით მოსწავლეთა მომზადების საქმეში.

აღნიშნული განათლების განყოფილებების გამგეებმა ორი კვირის ვადაში განიხილონ ეს საკითხი და განათლების სამინისტროში წარმოადგინონ წინადადებები საბაზო საწარმოების შერჩევის, დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და დასახული ღონისძიებების შესახებ.

9. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

10. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. გაგუას.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია იმ საბაზო საწარმოებისა, რომლებმაც არ შეასრულეს საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების განკარგულება

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის თეთრეულის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების გამოთვლითი ცენტრი (თბილისის 21-ე საშუალო სკოლა)

თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ გამოთვლითი ცენტრი (თბილისის 96-ე საშუალო სკოლა)

საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ ტყიბულის მიწისქვეშა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა და სალამე მასალის დამზადების კანტორის კომპლექსური გეოფიზიკური სადგური (ტყიბულის 1-ლი საშუალო სკოლა)

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამტრედიის რაიონული საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის აბაშის ფილიალი (აბაშის 1-ლი საშუალო სკოლა)

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის სამანქანო გამოთვლითი ბიურო (გულრიფშის საშუალო სკოლა)

სამოქალაქო ავიაციის სამინიტროს სოხუმის საავიაციო რაზმის გაერთიანების სამანქანო გამოთვლითი ბიურო (გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის საშუალო სკოლა)

აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი (ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა-ინტერნატი)

ცნობა

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებისა და დაპროგრამების საფუძვლების“ სწავლების შემოღებისა და მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების განკარგულებით რესპუბლიკის 59 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უნდა შემოღებულიყო „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ სწავლება, რაც მოსწავლეთა „პროგრამისტ-ლაბორანტის“ პროფილით მომზადებას ითვალისწინებდა. ამავე განკარგულებებით დამტკიცდა საშუალო სკოლების საბაზო საწარმოები — რესპუბლიკის დარგობრივი გამოთვლითი ცენტრები, გამოთვლითი სადგურები და სხვა ორგანიზა-

ციები, რომლებსაც თავისი მუშაობა სკოლებთან უნდა წარმართონ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 აგვისტოს დამტკიცებული დებულების „ზოგადი დებულებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საწარმოთა შესახებ“ მიხედვით. სულ დამტკიცებულია 50 საბაზო საწარმო, რომელთა უმრავლესობას დღეისათვის დადებული აქვს ხელშეკრულება სკოლებთან მოსწავლეთა შრომითი აღზრდისათვის მუშაობის თაობაზე.

ზემოთ აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე საბაზო საწარმოების პროგრამულ-მეთოდური უზრუნველყოფა დაევალა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარ გამოთვლით ცენტრს.

1986 წლის მარტსა და აპრილში მთავარი გამოთვლითი ცენტრის თანამშრომელთა მიერ შემოწმებულ იქნა „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ სწავლების მიმდინარეობა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის სკოლებისა და საბაზო საწარმოების დიდ ნაწილში სწავლებისათვის ნორმალური პირობებია შექმნილი. საბაზო საწარმოებმა თავის ტერიტორიაზე გამოყვეს თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო კაბინეტები. ასეთი სკოლები და საბაზო საწარმოებია:

ქ. თბილისის: №№ 1, 27, 42, 53 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრი

№ 43 — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი

1-ლი ექსპერიმენტული — საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი

№ 51 — საქართველოს სსრ ქვების მრეწველობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი

№ 46 — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი

№ 101 — საქართველოს სსრ საშინ მასალათა სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი

№ 161 — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი

№ 41 — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრი

№ 65 — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური დარგობრივი გამოთვლითი ცენტრი

II ექსპერიმენტული — საქართველოს სსრ სახელმწიფო მომარაგების რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრი

№ 155 — საქართველოს სსრ ნაკეთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი

№ 61 — საქართველოს სსრ სახტელერადიოს გამოთვლითი ცენტრი

№ 22 — სსრ კავშირის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის „ალგორითმის“ თბილისის ფილიალი

№ 47—სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მართვის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი

№ 166 — საქართველოს სსრ ხის მრეწველობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი

№ 149 — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი

№ 144 — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი

№ 100 — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი

№ 36 — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი

№ 106—თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის გამოთვლითი ცენტრი

ქ. ბათუმის №№ 5, 7 — აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი

ქობულეთის № 2 — აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრის ქობულეთის განყოფილება

ქ. ცხინვალის № 6 — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკური სამმართველოს მანქანათსათვლელი სადგური

ქ. რუსთავის №№ 12, 15—ხელსაწყოთმშენებლობის ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტი „ავტომატმრეწვი“

ქ. სამტრედიის № 1 — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამტრედიის რაიონული საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი

ქ. ჭიათურის № 1 — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმარგანეცი“

ქ ქუთაისის № 33 — ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ცენტრი

ქ. ქუთაისის № 36 — ქუთაისის ცეკავშირის სავაჭრო ბაზასთან არსებული გამოთვლითი ცენტრი

ზემოთ ჩამოთვლილმა საბაზო საწარმოთა ნაწილმა შეიძინა და სკოლებს საექსპლუატაციოდ გადასცა გამოთვლითი ტექნიკის სხვადასხვა საშუალებანი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარმა გამოთვლითმა ცენტრმა თბილისის 1-ლ და 53-ე საშუალო სკოლებს დახმარება აღმოუჩინა უახლესი მიკრო-ეგმ-ების კომპლექტით აღჭურვილი კაბინეტების შექმნაში და სისტემატურ კონტროლზე აიყვანა ამ კაბინეტების მუშაობა. 1-ლ საშუალო სკოლაში შექმნილი კაბინეტი ამჟამად ფუნქციონირებს, როგორც სასკოლათაშორისო საყრდენი გამოთვლითი კაბინეტი. მანვე თავის შენობაში მოაწყო გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის კაბინეტები, აღჭურვილი თანამედროვე სამამულო და უცხოური კომპიუტერებით, სადაც რეგულარულად გადიან პრაქტიკულ მეცადინეობას ცენტრზე მიმაგრებული 27-ე და 42-ე საშუალო სკოლების IX-X კლასების მოსწავლეები. გარდა ამისა, მთავარი გამოთვლითი ცენტრი შეფობას უწევს ტერიტორიულად მასთან ახლომდებარე 23-ე და 37-ე საშუალო სკოლებს. 23-ე საშუალო სკოლას გადაეცა დისპლეის კლასი საბობინენტო პუნქტის АП—64-ის ბაზაზე, რომელიც სატელეფონო ხაზით დაკავშირებულია ცენტრის ეგმ-თან ЕС—1022. 37-ე საშუალო სკოლის IX-X კლასები სისტემატურად გადიან პრაქტიკულ მეცადინეობებს მთავარი გამოთვლითი ცენტრის გამოთვლით კაბინეტებში. აქვე ცენტრის თანამშრომლები კონსულტაციებს უტარებენ „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ მასწავლებლებს.

1986 წლიდან დაიწყო მთავარი გამოთვლითი ცენტრის სასკოლო ინფორმატიკის განყოფილებაში დამუშავებული ავტომატიზებული მასწავლი-მაკონტროლებელი კურსების დანერგვა იმ საბაზო საწარმოებში, რომელთაც აქვთ ЕС-ის ტიპის ეგმ-ი. დღეისათვის 6 ასეთ საწარმოში ფუნქციონირებს ავტომატიზებული კურსები ფიზიკაში (VIII კლასი), ალგებრაში (VI კლასი), ინგლისურ ენაში (VI კლასი), ლოგიკური, შემეცნებითი სახის პროგრამები, რაც ამ საწარმოებთან მიმაგრებული სკოლების მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სწრაფად აითვისონ ეგმ-თან დიალოგურ რეჟიმში ურთიერთქმედების აუცილებელი უნარ-ჩვევები.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს გამოთვლითმა ცენტრმა (ამხ. ე. ლ. ენდელაძე) თბილისის 51-ე საშუალო სკოლას საექსპლუატაციოდ გადასცა მიკროკომპიუტერი — ИСКРА—226“. უახლოეს მომავალში მათ დაგეგმილი აქვთ მოაწყონ გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტი ЕС—7920 დისპლეების ბაზაზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითმა ცენტრმა (ამხ. ი. გ. ბურდული) თბილისის 41-ე საშუალო სკოლას დაუმონტაჟა დისპლეი ЕС—7927 და გადასცა 18 სასკოლო მიკროკალკულატორი. დაგეგმილია აღნიშნული ტიპის დისპლეების რაოდენობის გაზრდა.

სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს გამოთვ-

ლითი ცენტრის თბილისის ფილიალმა 152-ე საშუალო სკოლას საექსპლუატაციოდ გადასცა თანამედროვე მინი-კომპიუტერი CM—1.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გამოთვლითმა ცენტრმა (ამხ. ი. გ. სულხანიშვილი) თბილისის 65-ე საშუალო სკოლას შეუძინა და დაუმონტაჟა МК—54 ტიპის მიკროკალკულატორების კომპლექტი. დაგეგმილია სკოლისათვის სააბონენტო პუნქტის АП—64-ის გადაცემა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკურმა საინფორმაციო-გამოთვლითმა ცენტრმა (ამხ. კ. ც. კერესელიძე) თბილისის 36-ე საშუალო სკოლას შეუძინა МКШ—2 ტიპის სასკოლო მიკროკალკულატორების კომპლექტი. დაგეგმილია მიკროკომპიუტერი „ИСКРА—2106" გადაცემა.

დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის გამოთვლითმა ცენტრმა (ამხ. ნ. გ. გურამიშვილი) თბილისის 82-ე და 106-ე საშუალო სკოლებს გადასცა 15—15 მიკროკალკულატორი.

ზემოაღნიშნულ სკოლებში „გაიოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების" გაკვეთილებზე დასწრებამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლები ხელმძღვანელობენ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამით, დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. მასწავლებლად შერჩეულნი არიან საბაზო საწარმოებში მომუშავე წამყვანი სპეციალისტები. სწავლებისას ყურადღება გამახვილებულია სასწავლო პროგრამის იმ საკითხებზე, რომელთა ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა მოცემულ საწარმოშია შესაძლებელი. კერძოდ, დაპროგრამების ენის სწავლება განისაზღვრება შესაბამისი ტრანსლატორების ქონებით, რის გამოც ამჟამად ისწავლება თითქმის ყველა პრაქტიკულად გამოყენებული დაპროგრამების ენა. მისასალმებელია, რომ 1985—1986 სასწავლო წლიდან „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების" სწავლება ადგილობრივი ორგანოების ინიციატივით დაიწყო შემდეგ სკოლებსა და საბაზო საწარმოებში:

ქ. თბილისის: №№ 113, 133 — საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" გამოთვლითი ცენტრი

№ 25 — საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრი

№ 143 — „ელმავალმშენებელი" ქარხნის გამოთვლითი ცენტრი

№ 152 — სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი

№ 171 — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

ქ. ბათუმის №№ 1, 10, 21, 28 — აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი

ქ. ცხინვალის № 2 — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკურ სამმართველოსთან არსებული მანქანათსათვლელი სადგური.

ამასთან ერთად, „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების ფუძეების“ სწავლების საქმეში არის ნაკლოვანებებიც.

ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საბაზო საწარმოს აქვს სათანადო ტექნიკური ბაზა და ჰყავს შესაბამისი სპეციალისტებიც, სწავლების დონე იქ ერთობ დაბალია, ვინაიდან არაა უზრუნველყოფილი პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება გამოთვლით მანქანებზე. ასეთი მდგომარეობაა:

ქ. თბილისის № 60 — საბაზო საწარმო — ცეკავშირის რესპუბლიკური საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი, ამხ. ვ. ნ. წერეთელი

№ 170 — საბაზო საწარმო — საქართველო სსრ სახმომარაგების რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრი, ამხ. თ. მ. მიქაძე

№ 14 — საბაზო საწარმო — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი, ამხ. კ. ცისკარიძე

№ 82 — საბაზო საწარმო — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის გამოთვლითი ცენტრი, ამხ. ნ. გ. გურამიშვილი

სკოლებსა და გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის სასწავლო-საწარმოო კომბინატში — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონული საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი, ამხ. ვ. დ. ქოქაშვილი

სამწუხაროდ, ზოგიერთი სკოლისათვის საბაზო საწარმოდ ისეთი საწარმოა შერჩეული, რომელსაც სწავლებისათვის ვარგისი გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი არ გააჩნია და ვერ უზრუნველყოფს სწავლების სასურველ დონეს.

ასეთი სკოლები და საბაზო საწარმოებია:

ქ. ფოთის № 2 — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ფოთის საქალაქო საინფორმაციო-გამოთვლითი სადგური, ამხ. გ. ვ. კუპრეიშვილი

ყვარლის რაიონის № 1 — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ყვარლის რაიონის საინფორმაციო-გამოთვლითი სადგური, ამხ. შ. თ. ყულიჯანოვი

გარდაბნის რაიონის № 5 — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გარდაბნის რაიონული საინფორმაციო-გამოთვლითი სადგური, ამხ. ზ. ვ. ბერია

ზესტაფონის რაიონის № 2 და № 4 — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ზესტაფონის რაიონული გამოთვლითი სადგური, ამხ. თ. ნ. გაბელია

ქ. წყალტუბოს № 1 და № 2 — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წყალტუბოს საქალაქო გამოთვლითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგური, ამხ. მ. გ. კრავიაშვილი

ქარელის რაიონის № 2 — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გორის რაიონული საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის ქარელის ფილიალი, ამხ. ვ. დ. ქოქაშვილი

ჩხოროწყუს რაიონის № 2 — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ჩხოროწყუს რაიონის გამოთვლითი სადგური, ამხ. ა. გ. გაგუა

ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანურის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი — საქმთავარენერგოს სოფელ ლაჯანურის ჰესი, ამხ. გ. ე. ფრუიძე

მინისტრთა საბჭოს განკარგულება ვერ შეასრულეს შემდეგმა სკოლებმა და მათთვის დამტკიცებულმა საბაზო საწარმოებმა:

ა) საბაზო საწარმოს მოუმზადებლობის გამო:

ქ. თბილისის № 21 (ამხ. ლ. ც. ავოიანი) — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის თეთრეულის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების გამოთვლითი ცენტრი

№ 102 (ამხ. ლ. შ. დემეტრაძე) — ამიერკავკასიის ენერგოსისტემის გაერთიანებული სადისპეტჩერო სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი

№ 96 (ამხ. რ. ბაბაიანი) — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ გამოთვლითი ცენტრი

საგარეჯოს რაიონის № 4 (ამხ. კვასხვაძე) — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საგარეჯოს რაიონის განყოფილება

ტყიბულის № 1 (ამხ. ჯ. ვ. ქათამაძე) — საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ ტყიბულის მიწისქვეშა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა და სალამე მასალის დამზადების კანტორის კომპლექსური გეოფიზიკური სადგური

აბაშის № 1 (ამხ. მ. ხ. ბურსულია) — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამტრედიის რაიონული საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის აბაშის ფილიალი

გულრიფშის რაიონული (ამხ. ვ. ლ. კვირკველია) — სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის მანქანათსათვლელი სადგური

გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის (ამხ. თ. ტ. ანდრეიკინა)— სოხუმის საავიაციო რაზმის გაერთიანების მანქანათსათვლელი სადგური

ბ) სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით:

ქ. თბილისის № 77 სკოლის (ამხ. გ. კობახიძე) — საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი

გ) შრომითი სწავლების საათების უქონლობის გამო:

ქ. ბათუმის № 2 სამუალო სკოლა-ინტერნატი (ამხ. ლ. ნ. ჯიჯა-

ვაძე) — აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის მოგვარებული სასწავლო საათების ანაზღაურების საკითხი. მთელ რიგ სკოლაში საათობრივი ანაზღაურებისას არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 16 მაისის № 94 ბრძანება, სადაც მითითებულია, რომ მასწავლებლებს სპეციალობით მუშაობა პედაგოგიურ სტაჟში უნდა ჩაეთვალოთ.

„გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ ეფექტური სწავლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენი სასწავლო კლასია გამოყოფილი ამ საქმისათვის და, რაც მთავარია, მოსწავლეთა როგორი კონტინგენტით არის კლასები დაკომპლექტებული. ოპტიმალური ვარიანტია, როცა გამოყოფილია თითო-თითო IX-X კლასი, თუ მოსწავლეთა რიცხვი 25-ზე მეტია, პრაქტიკულ მეცადინეობებზე კლასი აუცილებლად ორად უნდა გაიყოს. მოსწავლეთა კონტინგენტს კი უნდა შეადგენდნენ მაღალი მომზადების დონის მქონე და ფიზიკა-მათემატიკური საგნებით დაინტერესებული მოსწავლეები. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ შემოწმებულ სკოლებში?

უმრავლეს სკოლაში გამოყოფილია თითო-თითო IX-X კლასი (სკოლებში, რომელნიც 1985—1986 სასწავლო წლიდან შეუდგნენ სწავლებას, ცხადია, გამოყოფილია მხოლოდ IX კლასები). არის გამონაკლისიც. ასე მაგალითად, თბილისის 46-ე, 22-ე, 1-ლ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლებში 1985—1986 სასწავლო წლიდან არ გამოუყვიათ IX კლასები და ამჟამად იქ სწავლება მხოლოდ X კლასებში მიმდინარეობს. სამი და მეტი კლასია გამოყოფილი თბილისის 155-ე, 27-ე, 53-ე, 82-ე, 106-ე, ქობულეთის რაიონის მე-2, ბათუმის მე-5, 28-ე, ქუთაისის 33-ე და ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლებში. ამასთან, გამოყოფილი კლასების უმრავლესობაში მოსწავლეთა დიდი რიცხვია, მოსწავლეთა წინასწარ შერჩევას ადგილი არ ჰქონია. საბაზო საწარმოებში სამოსწავლო-სამუშაო ადგილების დეფიციტია, კლასები კი ყველგან ჯგუფებად არ იყოფა. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს სწავლების ნორმალურ მიმდინარეობაზე. აღსანიშნავია რუსთავის სასწავლო-საწარმოო კომბინატის (ამხ. ვ. პაიჭაძე) გამოცდილება, რომელიც ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტებას ქალაქის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეთაგან აწარმოებს. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით კომბინატს თავისი ტექნიკური ბაზა არ აქვს და პრაქტიკულ მეცადინეობებს საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის „ავტომატმრეწვის“ ბაზაზე ატარებს. კლასებში მოსწავლეთა მრავალრიცხოვნობა და კლასების ფორმირებისას მოსწავლეთა ცოდნის დონისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობა პრობლემებს უქმნის იმ სკოლების მასწავლებლებსაც კი, სადაც „პროგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისტ-ლაბორანტის“ სპეციალობას მხოლოდ თითო-თითო კლასს ლება.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მთელი რიგი სკოლების საბაზო საწარმოს (განსაკუთრებით თბილისში განლაგებულ საწარმოებს) ძალუძს ქმედითი მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს მასზე მიმაგრებულ სკოლებს. მათ აქვთ ფულადი სახსრები, რათა შეიძინონ და სკოლებს გადასცენ თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს-დღეობით პრობლემად რჩება ორგანიზაციის მიერ უბრალო სასკოლო ან საინჟინრო ტიპის მიკროკალკულატორის შეძენაც კი. რაც შეეხება პერსონალურ მიკროკომპიუტერებს, რომელთა შესყიდვა ბევრ საბაზო საწარმოს სურს, მიმდინარე წლიდან ხდება მათი ცენტრალიზებული დაგზავნა მოკავშირე რეესპუბლიკების განათლების სამინისტროებისათვის. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მიღებულ ტექნიკას პროპორციულად ანაწილებს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში. მიზანშეწონილია, რომ ადგილებზე გადაცემული გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზე შეიქმნას სასკოლათაშორისო გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის კაბინეტები, რომელთა გამოყენება შეიძლება „პროგრამისტ-ლაბორანტის“ სპეციალობის დაუფლების პროცესშიც.

დღემდე გადაუჭრელია „პროგრამისტ-ლაბორანტის“ სპეციალობის მინიჭების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის საკითხი.

მთავარი გამოთვლითი ცენტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სამუშაო სკოლების დაკომპლექტების მეთოდიკის სრულყოფისა და მათი ოპტიმალური განლაგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების რესპუბლიკის საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელი სამუშაო სკოლების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შუქზე შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გატარებულია გარკვეული ღონისძიებები. მათ შორის აღსანიშნავია საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის ოპტიმალური განლაგების მოწესრიგების მიზნით ჩატარებული მუშაობა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული, არასრული სამუშაო და სამუშაო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაზე მოთხოვნების გათვალისწინებით გაუქმდა ადრე არსებული 110 სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, ამ ტიპის სკოლებიდან ამოირიცხა 2250 მოსწავლე, ჩატარდა სათანადო სამუშაოები 16-29 წლის ასაკის მქონე მომუშავე ახალგაზრდობის აღრიცხვის მიზნით, რომლებსაც სურვილი აქვთ მომავალი სასწავლო წლიდან წარმოებიდან მოუწყვეტლივ მიიღონ სამუშაო განათლება.

მომავალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა. დაიბეჭდა და სკოლებს დაეგზავნა სასწავლო გეგმები ყველა ტიპის საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლებისათვის, ბეჭდვის პროცესშია სასწავლო პროგრამები და მეთოდიკური რეკომენდაციები ცალკეულ საგანთა სწავლების შესახებ, მასწავლებლთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში კვალიფიკაცია აიმაღლეს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ხელმძღვანელმა მუშაკებმა. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით დაგეგმილია ამ საგნის მასწავლებელთა გადამზადება.

ამასთან, როგორც შემოწმებამ და ადგილდან მიღებული ინფორმაციების ანალიზმა ცხადყო, საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკაში დღემდე განხორციელებული ღონისძიებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასაკმარისია. ბოლნისის, დუშეთის, მცხეთის, ლაგოდეხის, წიფელ-წყაროს, საჩხერისა და ჩოხატაურის რაიონებში კვლავ გრძელდებოდა მოსწავლეების მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები. ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, იშვიათად ტარდებოდა ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები, ირღვეოდა საკონტროლო წრეების დადგენილი ნორმები. იყო ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის შემთხვევები მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში. მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების შრომასთან შეთავსების ოპტიმალური ფორმებისა და რეჟიმის განსაზღვრის ამოცანებიდან გამომდინარე დღის წესრიგში კვლავ რჩება საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების დღეისათვის არსებული ქსელის სტრუქტურული მოწესრიგების, სწორად დაგეგმვისა და რაციონალურად განლაგების საკითხი, ადგილობრივი პირობებისა და რეალური კონტინგენტის გათვალისწინებით.

სასკოლო რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შესაბამისად რესპუბლიკის საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დაკომპლექტების არსებული მეთოდიკის სრულყოფისა და მათი ოპტიმალური განლაგების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული არასრული საშუალო და საშუალო ზოგადი განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლების მიზნით, მომავალი სასწავლო წლიდან, ნებაყოფლობის პრინციპისა და რეალური კონტინგენტის გათვალისწინებით გაიხსნას მხოლოდ საღამოს (ცვლიანი) დასწრებული და დასწრებულ-დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები.

2. საღამოს (ცვლიანი) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა დასწრებული ან დასწრებულ-დაუსწრებელი სწავლების ფორმით იხსნება ქალაქებში, მუშათა დაბებსა და წარმოება-დაწესებულებებთან არანაკლებ 100, ხოლო სოფელ ადგილებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — არანაკლებ 80 მოსწავლისათვის.

— იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეთა კონტინგენტი არ იძლევა დამოუკიდებელი საღამოს (ცვლიანი) დასწრებული ან დასწრებულ-დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის გახსნის საშუალებას, მომუშავე ახალგაზრდობის არასრული საშუალო და საშუალო განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით, გაიხსნას საღამოს სწავლების კლასები ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლებთან. საღამოს სწავლების კლასებისადმი მეთოდური, სამეურნეო ხელმძღვანელობა და კონტროლი დაევალოს ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლას, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან.

3. თუ საღამოს (ცვლიანი) დასწრებულ, დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლებში ან დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებ-

თან შექმნილ საღამოს სწავლების ცალკეულ კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა ზღვრული შევსების ნორმებზე ნაკლებია, ორგანიზება უკეთდება მსურველთა დამოუკიდებელ ინდივიდუალურ სწავლებას და კონსულტაციები ეწყობა მათთვის დადგენილი წესით.

ინდივიდუალურად მომუშავე მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს გამოცდებს აბარებენ იმავე სკოლაში, მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების ინსტრუქციით გათვალისწინებულ საგნებში.

4. ფიზიკური ნაკლის მქონე (უსინათლო, სუსტადმხედველი, ყრუ და სმენადაქვეითებული) მომუშავე ახალგაზრდობისათვის იქმნება საღამოს (ცვლიანი) დასწრებული სკოლები, დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან საღამოს სწავლების ცალკეული კლასები ან ორგანიზება უკეთდება მსურველთა დამოუკიდებელ სწავლებას.

5. გაუქმდეს რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლები ქვედანაყოფების არსებული ქსელით თბილისსა და ბათუმში.

— საზღვაო და თევზსაჭერ ფლოტში დასაქმებული პირებისათვის არასრული საშუალო და საშუალო განათლების მისაღებად ბათუმის, სოხუმისა და ფოთის საღამოს (ცვლიანი) დასწრებულ ან დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლებთან გაიხსნას დაუსწრებელი კლასები, რომლებიც დაუსწრებელი სწავლების სასესიო რეჟიმით მომუშავე სკოლების სასწავლო გეგმით იმუშავებენ.

6. საღამოს (ცვლიანი) დასწრებული და დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლების, დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან შექმნილი საღამოს სწავლების კლასებსა და ინდივიდუალურად მომუშავე მოსწავლეებთან სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზება ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1986 წლის 10 აპრილს დამტკიცებული სასწავლო გეგმებით და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ: განუხრელად უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მოცემული გადაწყვეტილების შესრულება, ადგილობრივ საგეგმო ორგანიზაციებთან ერთად თანდართული მეთოდიკის მიხედვით დააზუსტონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები, სახალხო მეურნეობაში დასაქმებული 16-29 წლამდე ასაკის არასრული საშუალო და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც საღამოსა (ცვლიანი) და დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლებში სწავლობენ ან სწავლის სურვილი აქვთ.

— სასწავლო წლის დასაწყისშივე შეამოწმონ საღამოს (ცვლიანი) სკოლების შტატების ფაქტობრივი შესატყვისობა მოსწავლეთა კონტინგენტთან და დაკომპლექტების სისწორე, დაუყოვნებლივ დახურონ ან გააერთიანონ კლასები და ჯგუფები, რომლებშიც მოსწავლეთა რაოდენობა დადგენილ ნორმებს არ შეესატყვისება.

წინასწარ იზრუნონ საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების ქსელის რეორგანიზაციის შედეგად გამონთავისუფლებული პედაგოგიური კადრების შრომითი მოწყობისათვის.

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საღამოს (ცვლიანი) დასწრებული და დასწრებულ-დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან შექმნილ საღამოს სწავლების ცალკეული კლასების, დამოუკიდებლად მომუშავე მოსწავლეთა კონსულტაციებისათვის მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების შერჩევას. არ დაუშვან გაუმართლებელი შეთავსების, დატვირთვის დადგენილი ნორმების დარღვევის ფაქტები, მიაღწიონ წარმოებიდან მოუწყვეტლივ მოსწავლე ახალგაზრდობასთან მომუშავე პედაგოგთა სტაბილური კოლექტივების შექმნას.

— ფართო პროპაგანდა გაუწიონ მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადი არასრული საშუალო და საშუალო განათლების ექსტერნის წესით მიღების შესაძლებლობას. აღმოფხვრან ამ საქმის ორგანიზაციაში არსებული ხარვეზები და ფორმალიზმი. მიაღწიონ, რომ ეფექტურად განხორციელდეს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნები, საბჭოთა კანონმდებლობით ამ მიზნით გათვალისწინებული შეღავათები.

— გაუქმებული სკოლების მატერიალურ ფასეულობათა ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის მიზნით შექმნან სათანადო კომისიები. განახორციელონ ღონისძიებანი საარქივო დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველსაყოფად.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) საღამოს (ცვლიანი) დასწრებული და დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლების და დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან შექმნილ საღამოს სწავლების კლასებში მოსწავლეთა დატვირთვის განსაზღვრის მიზნით მიმდინარე წლის 15 ივნისამდე შეიმუშაოს წინადადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად: საღამოს (ცვლიანი) სკოლებისა და დაუსწრებელი განყოფილებების სწორად დაგეგმვის მიზნით ადგილებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე შეადგინოს 16-29 წლამდე ასაკის მომუშავე ახალგაზრდების სწავლებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაბმის ერთიანი გეგმა 1987 წლისათვის და ხუთწლედის ყოველი წლისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლებთან საღამოს კლასების ორგანიზაციასთან დაკავშირებით, განსაზღვროს სკოლების დირექტორებისათვის ხელფასის დანამატის ოდენობა. შესანახი ხარჯები გაითვალისწინოს ბიუჯეტში.

9. საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) უზრუნველყოს რესპუბლიკის საღამოს (ცვლიანი) დასწრებული და დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლები ინდივიდუალურად მომუშავე და ზოგადსაგანმანათლებლო დღის საშუალო სკოლებთან შექმნილი საღამოს კლასები სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, მეთოდიკური ლიტერატურითა და სასკოლო დოკუმენტაციით.

10. ეს გადაწყვეტილება დაიბეჭდოს გაზეთ „სახალხო განათლებაში“, დაეგზავნოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს, გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

11. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. გაგუას.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 მაისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის რვაწლიან სკოლაში მომხდარი ხანძრის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელის მიერ კვლავ შეინიშნება უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებისადმი, რის შედეგადაც ადგილი აქვს ხანძრის გაჩენის შემთხვევებს.

1986 წლის 26 აპრილს ხანძარი გაუჩნდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის რვაწლიანი სკოლის შენობას. მთლიანად დაიწვა სკოლის შენობა და მაგარი ინვენტარის დიდი ნაწილი. სკოლაში ხანძარი გაჩნდა სხვენში გაყვანილ ელექტროსადენებში დენის მოკლე ჩართვის გამო. ვინაიდან სასხვენო გადახურვის ხის კონსტრუქციები დამუშავებული არ იყო ცეცხლგამძლე ხსნარით, ცეცხლი სწრაფად მოედო მას და ხანძრის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა.

1985 წლის 29 აგვისტოს სოფელ ოდიშის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ამხ. ნ. გუჩუა ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მიერ სპეციალური მიწერილობით გაფრთხილებული იყო, რომ ჩაეტარებინა სხვენის ხის კონტრუქციების ცეცხლგამძლე ხსნარით დამუშავება და ენერგოზედამხედველობის ორგანოების მეშვეობით შეემოწმებინა ელექტრომეურნეობის ვარგისიანობა.

ამხ. ნ. გუჩუა ასევე რამდენჯერმე იყო გაფრთხილებული აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობის შესახებ რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მიერაც, მაგრამ ეს მოთხოვნები მან უყურადღებოდ დატოვა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გაუტარებლობისათვის, რაც იმაში გამოიხატება, რომ არ დამუშავდა სასხვენო გადახურვის ხის კონსტრუქციები ცეცხლგამძლე ხსნარით და წესრიგში არ იქნა მოყვანილი ელექტროგაყვანილობა, რის შედეგადაც გაჩნდა ხანძარი და სკოლის შენობა მთლიანად განადგურდა, სოფელ ოდიშის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ნ. გუჩუა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

2. ეთხოვოს „საქმთავარენერგოს“ უფროსს ამხ. ი. ჭედიას, რათა ადგილობრივმა ენერგოზედამხედველობის ორგანოებმა გააძლიერონ ქმედითი კონტროლი სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში ელექტრომეურნეობის მდგომარეობაზე, წარუდგინონ აღნიშნულ და-

წესებულებათა ხელმძღვანელებს სათანადო მოთხოვნები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიმდინარე წლის 5 ივნისამდე დაისვას საკითხი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინაშე სოფელ ოდიშის რვაწლიანი სკოლისათვის 4 ფინური ტიპის სახლის გამოყოფის შესახებ.

4. სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა აღნიშნული გადაწყვეტილება დაიყვანონ დაქვემდებარებული ობიექტების ხელმძღვანელებამდე.

5. მეორე განყოფილებამ (ამხ. გ. დანიელოვი) განახორციელოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება

განსაკუთრებულ პირობებში აღსაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა სამტრედიის სპეციალური სკოლის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ

შემოწმებამ ცხადყო, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, განსაკუთრებულ პირობებში აღსაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა სამტრედიის სპეციალური სკოლის მუშაობაში (ამხ. ბ. ხუჭუა) ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რის გამოც არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება სკოლის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანები.

არსებითი ხარვეზებით აღინიშნება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას, არ ზრუნავს თავისი პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. სწავლების პროცესში არ ითვალისწინებს სკოლის სპეციფიკას, **გაკვეთილებს ატარებს აღსა-**ზრდელთა ინდივიდუალურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად, ნაკლებად იყენებს თვალსაჩინო-დიდაქტიკურ მასალას, ტექნიკურ საშუალებებს. სკოლაში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა (მასწავლებელი ე. ჯულაყიძე), ქიმია (მასწავლებელი ე. სტურუა), ნაკლები ყურადღება ეთმობა მოსწავლეებში წერითი კულტურის ამაღლებას, კალიგრაფიას. უგულებელყოფილია მოსწავლეთა საშინაო-საკლასო ნამუშევრების გასწორება. ცუდადაა დაყენებული მოსწავლეთა სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისა და არსებულის მოვლა-პატრონობის საქმე. დაბალია სწავლების ხარისხი და აკადემიური მოსწრების დონე.

დაუდევრად, უპასუხისმგებლოდ ხდება მოსწავლეთა დღიურების შევსება. საკლასო ჟურნალებში ადგილი აქვს მასალის უსუფთაოდ შეტანის ნიშნების გადასწორების, ისრებით გადატანის არა ერთ ფაქტს (მასწავლებლები ს. ვამაკიძე, ე. ჯულუყია, კ. ჯვარშეიშვილი, გ. მიქაძე, თ. შეყრილაძე, ვ. სიმონია, ლ. ნოზაძე, ს. ხუჭუა, ს. გაჩეჩილაძე და სხვები).

იმის გამო, რომ სკოლაში ჩაშლილია აღმზრდელთა კადრების შერჩევისა და მათთან მუშაობის საქმე, დაბალ დონეზეა აღმზრდელობითი მუშაობაც (უფროსი აღმზრდელი მ. კოპალეიშვილი), აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარეობს სტიქიურად, აღსაზრდელთა ფსიქიკური განვითარებისა და ინდივიდუალურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნით არ ხდება მათ ინდივიდუალურ თავისებურებათა საფუძ
შესწავლა. მოსწავლეებზე დაკვირვების დღიურები ფორმალურ ხასი-
ათს ატარებენ.

აღმზრდელობითი პროცესის დაბალ დონეს ისიც განაპირობებს,
რომ რუსულ ჯგუფებში მომუშავე აღმზრდელთა 80% ვერ ფლობს
რუსულ ენას. ასევე ვერ ფლობს რუსულ ენას სკოლის დირექტორის
მოადგილე აღმზრდელობით დარგში ამხ. მ. კოპალეიშვილი.

ფორმალიზმით ხასიათდება სკოლის პიონერული ორგანიზაციის
მუშაობა (უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. ლობჟანიძე). სრულყოფი-
ლად ვერ ასრულებს თავის ფუნქციას სკოლის ბიბლიოთეკა, რომლის
წიგნადი ფონდი ძალზე ღარიბი და მოძველებულია (ბიბლიოთეკარი
რ. რამიშვილი).

სკოლაში სუსტად ხორციელდება მოსწავლეთა აღზრდისადმი
კომპლექსური მიდგომა, განსაკუთრებით მათი სამართლებრივი აღზრ-
და. აუცილებელი საჭიროების მიუხედავად, დღემდე არ არის მოწყო-
ბილი სამართლებრივი აღზრდის ოთახი.

ნაკლებად ოპერატიულია რეჟიმის მუშაკთა მიერ გატარებული
ღონისძიებები. მათ მიერ სათანადო ყურადღება არ ეთმცევა დისციპლი-
ნის დარღვევისა და სკოლიდან გაქცევის მიზეზების გულდასმით შეს-
წავლას. პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, რის გამოც ად-
გილი აქვს აღსაზრდელთა მიერ სპეცსკოლიდან გაქცევის, ტერიტორი-
იდან უნებართვოდ გასვლის, დისციპლინის უხეში დარღვევისა და
დანაშაულის ჩადენის არაერთ ფაქტს.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლიდან გაიქცა 7 აღსაზრდელი, 3
ძნელადაღსაზრდელი გაგზავნილ იქნა ცხინვალის სპეციალურ სასწავლე-
ბელში, 1 ქურდობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მი-
ცემული.

თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად არ ხორციელდება მოს-
წავლეთა შრომითი აღზრდისა და საზოგადოებრივად სასარგებლო
მწარმოებლურ შრომაში ჩაბმის საქმე. დღეისათვის არსებული შრომის
პროფილი (ჩაის ყუთების შეკვრა) ძალზე პრიმიტიულია და აღსაზრ-
დელებზე ვერავითარ დადებით ზემოქმედებას ვერ ახდენს. ამ მიმარ-
თებით დღემდე არ არის შესრულებული საქართველოს სსრ განათლე-
ბის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშა-
ველი მრეწველობის სამინისტროს მიერ 1984 წლის 24 ნოემბერს
მიღებული ერთობლივი დადგენილება № 18-11/34 შრომითი პროფი-
ლის შეცვლის შესახებ.

სუსტია ადმინისტრაციის კონტაქტები არასრულწლოვანთა საქმე-
ების შესაბამის კომისიებთან, შინაგან საქმეთა ორგანოებთან, ყოფილ
აღსაზრდელთა საწარმო-დაწესებულებებთან. სკოლას დღემდე არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩნია ცნობა 1984—1985 სასწავლო წელს ოთხი კურსდამთავრებულის შრომითი მოწყობის შესახებ.

არადამაკმაყოფილებელია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს მოითხოვს სკოლის ძირითადი კორპუსები და დამხმარე ნაგებობები. მრავალ ადგილას ღობე მწყობრიდან არის გამოსული. დარღვეულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები საძინებლებში. მაშინ როდესაც საღამოზრდელო ჯგუფებს ზედმეტი ფართობი აქვთ დათმობილი.

სკოლას აკლია ზოგიერთი დასახელების მაგარი ინვენტარი, ხოლო არსებულის დიდი ნაწილი მოუვლელი და შესაცვლელია.

სერიოზული ნაკლოვანებებია პროდუქტებით მომარგებისა და კვების ორგანიზაციის საქმეში. სამზარეულო არ არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, ელექტრომანქანებით, არ აქვთ პროდუქტების დასამუშავებელი ოთახები, სამაცივრო დანადგარები. ყოველივე ამის შედეგად აღსაზრდელები დიდი დანაკლისით ღებულობენ ბოსტნეულს, ხილს, თევზს, რძეს, რძის ნაწარმს, ერთფეროვანია მენიუ. ირღვევა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული აღსაზრდელის ერთი დღის კვების საშუალო ღირებულება, რაც 1 მანეთისა და 28 კაპიკის ნაცვლად საშუალოდ 1 მანეთსა და 22 კაპიკს შეადგენს.

არ ხდება საკვების ვიტამინიზაცია, კალორაჟის გამოთვლა. უხეშად ირღვევა ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში რბილი ინვენტარის და ტანსაცმლის მარკირების, გაცემის, ხმარებისა და შენახვის წესების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1983 წლის № 10-691/5-22 მეთოდური მითითება. დაუშტამპავია საწყობში არსებული და აღსაზრდელებზე გაცემული რბილი ინვენტარი და ტანსაცმელი (საწყობის გამგე მ. კოხრეიძე).

ხმარებაში არსებული რბილი ინვენტარის საწყობში (მ. სანიკიძე) უფაქტოროდ აღმოჩნდა ოთხი დასახელების ახალი ტანსაცმელი, რომლის საერთო ღირებულება 1117 მანეთს შეადგენს და ასევე ორი ყუთი საპონი, მაშინ როდესაც მოსწავლეთა ჩაცმულობა შემოწმების დღეს არადამაკმაყოფილებელი იყო. აღსაზრდელთა ერთ ნაწილს არ აქვს ფორმა, მოსწავლეთა ჩანთა, საშინაო და საგარეო ფეხსაცმელი, ცხვირსახოცი, პირადი მოხმარების ზოგიერთი საგანი და სხვა.

ჩატარებული რევიზიით გამოირკვა, რომ 1984 წლის თებერვლისა და აპრილის თვეებში ერთდროულად ჩამოწერილია 20364 კგ. 1.3 ათასი მანეთის ღუმლის საწვავი, რომელზედაც სკოლას არ აქვს ხარჯვის ნორმები და საკონტროლო წვის აქტები. მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერა ხდება არსებული წესის უხეში დარღვევით.

არასრულყოფილად ფორმდება საბუთები კერძო პირების მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.

კავშირგაბმულობის სამტრედიის განყოფილების მიერ რადიოს მოწყობაზე ჩამოწერილია 800 მანეთი. მაშინ როდესაც სკოლა-ინტერნატ-დიოს არც ერთი წერტილი არ მუშაობს.

დაგვიანებით ხდება საავანსო ანგარიშების შედგენა, სკოლაში არ არის შექმნილი შინასაფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემმოწმებელი კომისია, დროულად არ ხდება ზემდგომ ინსტანციებში ინფორმაციების წარდგენა, მოცემული დავალებების შესრულება.

სკოლის ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობის, დაბალი პროფესიული დონისა და უპასუხისმგებლობის ნათელი დადასტურებაა 1984—1985 სასწავლო წლის სტატისტიკური ანგარიშის დაუდევრად შედგენა და მისი სსრ კავშირის განათლების სამინისტროში დაგვიანებით გაგზავნა.

კოლეგია თვლის, რომ სპეცსკოლაში არსებული სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებები განპირობებულია იმითაც, რომ იგი წლების განმავლობაში ფაქტობრივად მოკლებული იყო ქმედით პრაქტიკულ დახმარებასა და კონტროლს.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. განსაკუთრებულ პირობებში აღსაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა სამტრედიის სპეციალური სკოლის დირექტორმა (ამხ. პ. ხუჭუა) რადიკალური ზომები მიიღოს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და სამედიცინო-კულტურული მომსახურების დონის ამაღლებისათვის, რისთვისაც:

1. 1. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდას, აამაღლოს პედაგოგ-აღსაზრდელთა პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი. გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი აღმზრდელ-მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა და რეჟიმის მუშაკთა ყოველდღიურ საქმიანობაზე.

1. 2. გაატაროს ქმედითი ღონისძიებები აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. რეაგირების გარეშე არ დატოვოს პროდუქტებით მომარაგების საქმეში შეფერხებების არც ერთი ფაქტი. არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ნორმით გათვალისწინებული კვების სახსრების აუთვისებლობა.

1. 3. იზრუნოს არსებული დამხმარე მეურნეობისა და საწარმოო სწავლების შემდგომი გაძლიერება-სრულყოფისათვის, მისი სამეურნეო და აღმზრდელობითი მნიშვნელობით გამოყენებისათვის.

1. 4. არ დაუშვას როგორც წლიური, ისე ცალკეული მუხლების მიხედვით გამოყოფილი თანხების აუთვისებლობა ან გადახარჯვა. გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებული ყურადღება დაუთმოს სპეცსახსრების შემოსავალ-ვლისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას.

1. 5. მატერიალური ფასეულობისა და ინვენტარ-მოწყობილობის შეძენა მოახდინოს სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველოს მეშვეობით. არ დაუშვას მისი შეძენა სავაჭრო ორგანიზაციებიდან ზეძდგომი ორგანოს ნებართვის გარეშე.

2. არასრულწლოვანთა ხელახალი აღზრდისა და გამოსწორების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, სკოლის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის, 1985 წლის სტატისტიკური ანგარიშის დაუდევრად შედგენისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროში დაგვიანებით გაგზავნისათვის სკოლის დირექტორს ამხ. პ. ხუჭუას გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

3. აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და ფორმალიზმისათვის, აღმზრდელთა მუშაობისადმი უკონტროლობისათვის დირექტორის მოადგილეს აღმზრდელობით დარგში მ. კოპალეიშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური და იმის გამო, რომ არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას, მისი მომავალი მუშაობის საკითხი გადაწყდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

4. სასწავლო-აღმზრდელობით დარგში გამოვლინებული ნაკლოვანებებისათვის სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ლ. ვიტუმინსკაია იმსახურებს დასჯას, მაგრამ მიღებული იქნეს მხედველობაში მისი ხანმოკლე მუშაობა და გაფრთხილდეს, რომ თუ არ უზრუნველყოფს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას მის მიმართ მიღებული იქნება სათანადო ზომები.

5. რეჟიმის სამსახურისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის, ზედამხედველობის საქმეში არსებული სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებისათვის დირექტორის მოადგილეს რეჟიმის დარგში ამხ. გ. ლეჟავას გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

6. სკოლის დირექტორს ამხ. პ. ხუჭუას დაევალოს არსებული წესის დაცვით განიხილოს საკითხი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობის, მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებაზე კონტროლის მოშლისა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფისათვის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, დირექტორის მოადგილეს სამეურნეო დარგში გ. მიქაძის, ახალი ინვენტარის საწყობის გამგის მ. კოხრეიძის, მეთეთრეულის მ. სანიკიძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

7. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს სამტრედიის სპეციალური სკოლა რბილი და მაგარი ინვენტარით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორი ორგანიზაციისათვის საჭირო დგამ-ავეჯით, დანადგარ-მოწყობილობებით, სკოლის დირექციის მიერ წარდგენილი განაცხადის შესაბამისად.

8. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. თ. ქევხიშვილი) უახლოეს დროში უზრუნველყოს სამტრედიის სპეცსკოლის შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტისათვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენა, სარემონტო სამუშაოების დაწყება, ხარისხიანად შესრულება და დროულად დამთავრება.

9. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) უზრუნველყოს სამტრედიის სპეციალური სკოლა სახელმძღვანელოებით, მეთოდიკური და მხატვრული ლიტერატურით, სკოლის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

10. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან და სამტრედიის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებასთან ერთად შეისწავლოს სპეცსკოლაში მომუშავე კადრების დაკავებული თანამდებობისადმი შესაბამისობის საკითხი და ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს სკოლის შესაბამისი კადრებით დაკომპლექტება.

11. სტატისტიკურმა განყოფილებამ (ამხ. ი. უგულავა), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად (ამხ. გ. ვარდოსანიძე) მკაცრი კონტროლი დააწესოს სამტრედიის სპეცსკოლიდან გამოგზავნილ სტატისტიკურ მონაცემებზე.

12. აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) ქმედითი დახმარება გაუწიოს მოსწავლეთა ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდის შემდგომი სრულყოფის საქმეს, პერიოდულად ჩაუტაროს სკოლის პედაგოგ-აღმზრდელებს გასვლითი თათბირ-სემინარები სპეცსკოლის მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებზე, ორგანიზაცია გაუკეთოს აღსაზრდელთა შორის კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებას.

13. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად (ამხ. გ. ვარდოსანიძე) ახალი სასწავლო წლის დაწყებიდანვე სისტემატური დახმარება გაუწიოს სამტრედიის სპეცსკოლას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სათანადო დონეზე წარმართვის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. გ. ვარდოსანიძე) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი განსაკუთრებულ პირობებში აღსაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა სამტრედიის რესპუბლიკური სპეციალური სკოლის მუშაობაზე. უზრუნველყოს სკოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში აღმოფხვრა.

1986—1987 სასწავლო წლის მეორე ნახევარში კომპლექსურად შეისწავლოს სამტრედიის სპეცსკოლაში არსებული მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О ходе выполнения органами народного образования постановлений ЦК КПСС и ЦК КП Грузии «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма»

29 мая 1986 года

Министерство просвещения, органы народного образования совместно с административными и общественными организациями проводят значительную работу по выполнению требований, установок и положений выдвинутых в посатновлениях ЦК КПСС и ЦК Компартии Грузии по вопросам искоренения пьянства и алкоголизма, осуществляют организационные, правовопропагандистские меры по воспитанию учащихся общеобразовательных школ, формированию у них трезвеннических установок, здорового образа жизни.

Решением коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 20 мая 1985 года утвержден план мероприятий по выполнению постановлений ЦК КПСС и ЦК Компартии Грузии «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма», в котором предусмотрено обеспечить эффективное использование возможностей учебных предметов циклов раскрывающих социальные последствия пьянства и алкоголизма.

Вопросы борьбы с пьянством и алкоголизмом обсуждались на совместных расширенных заседаниях коллегий Министерства просвещения и Министерства внутренних дел Грузинской ССР и выездных совещаниях органов народного образования с соответствующими органами внутренних дел, в городах и районах республики, где отмечается рост или высокий процент правонарушений учащихся.

В общеобразовательных школах республики с 1985 учебного года введен новый предмет «Этика и психология семейной жизни», в котором специальные темы отводятся освещению социальных и морально-этических последствий пьянства и алкоголизма.

Разработаны и разосланы во все отделы народного образования методические рекомендации об организации антиалкогольной пропаганды в общеобразовательных школах и других учреждениях народного образования.

Министерством просвещения, органами народного образования стало уделяться больше внимания вопросам проведения массовых мероприятий с учащимися. 31 мая 1985 года был издан приказ Министра просвещения № 336 «О задачах органов народного образования по выполнению постановления ЦК КПСС по преодолению пьянства и алкоголизма».

Во многих регионах республики улучшилась работа органов народного образования, дирекций школ по выявлению неблагополучных семей.

В 1985 году 369 подростков из таких семей были определены в школы-интернаты.

С целью активизации антиалкогольного просвещения родителей в программу родительского педагогического всеобуча внесены специальные темы по указанной проблеме.

Вопросы антиалкогольной пропаганды введены в тематику курсов усовершенствования учителей.

Вместе с тем коллегия отмечает, что в работе по антиалкогольному воспитанию учащихся обещобразовательных школ имеются серьезные недостатки, нерешенные проблемы.

Работа органов народного образования по профилактике пьянства и алкоголизма часто не увязывается с комплексным решением всех воспитательных задач. Выявление лиц из числа педагогов и учащихся, употребляющих спиртные напитки, осуществляется робко, разрозненно, неэффективно и в связи с этим не достигает цели.

К решению этой задачи недостаточно привлекаются врачи-педиатры, наркологи, специалисты различных профилей (социологи, психологи, юристы и др.).

Органы народного образования все еще недостаточно опираются в профилактической деятельности на здравоохранительные и административные органы. Плохо учитываются местные условия, специфика курортных зон и молодежной среды.

В организации антиалкогольного воспитания учащихся слабо используются возможности учебно-воспитательного процесса, учебный материал не увязывается с антиалкогольной проблематикой. Медико-биологические, правовые, социально-экономические проблемы употребления алкоголя излагаются поверхностно, малоинтересно и не всегда убедительно.

Многие беседы и лекции, проводимые на низком методическом уровне мало способствуют формированию у учащихся твердых антиалкогольных убеждений, не показывают путей преодо-

ления алкогольных традиций, укоренившихся в быту. Не пропагандируется в должной мере здаравый образ жизни.

Органы народного образования, педагогические коллективы школ все еще недостаточно эффективно осуществляют работу по месту жительства учащихся. Слабо развивается сеть спортивных секций, технических кружков, кружков по интересам и художественной самодеятельности.

Фактически не ведется должной борьбы с ложными взглядами и тенденциями о «культурном» употреблении алкоголя, «красивом образе жизни» с рюмкой спиртного и сигаретой. Все еще не разработаны системы антиалкогольной пропаганды среди родителей, семей, употребляющих алкоголь единая тематика бесед и лекций для учителей.

Необходимо также отметить, что ослабила свою работу в этом важном направлении «Комиссия по борьбе с негативными явлениями» при Министерстве просвещения республики.

Несмотря на то, что количество учащихся, задержанных работниками органов внутренних дел в нетрезвом состоянии снизилось в 1985 году по сравнению с 1984 годом на 66,6% (21 и 7) серьезную тревогу вызывает тенденция систематического употребления спиртных напитоков некоторыми подростками в ряде городов и районов.

Особенно неблагополучное положение сложилось в Аджарской АССР, городах Чиатура, Цхинвали, Поти, Боржомском, Гурджаанском, Мцхетском районах, где недостаточно решается задача нравственного воспитания подрастающего поколения.

Все еще имеют места случаи, когда учащиеся общеобразовательных школ в состоянии опьянения совершают уголовные преступления. В 1985 году ученик X класса средней школы № 54 г. Тбилиси Г. Закаидзе, будучи в нетрезвом состоянии, ранил студента Политехнического института, в Телавском районе, где ученик средней школы села Караджала Т. Иса-оглы ограбил соседскую квартиру, ученик VIII класса средней школы г. Телави М. Маласидзе совместно с совершеннолетними «друзьями» совершил кражу из легкового автомобиля импортного магнитофона, а затем из продуктивного киоска денег в сумме 50 рублей.

Ученики же средней школы № 101 г. Тбилиси М. Хуташвили и К. Чахунашвили позволили себе появиться в состоянии опьянения в помещении школы. Более того, в 1985 году работниками Министерства внутренних дел была задержена в нет-

резвом состоянии ученица IX класса средней школы № 60 г. Тбилиси М. Далакишвили.

Особую озабоченность вызывает факт, что среди нарушителей антиалкогольного законодательства встречаются педагоги общеобразовательных школ. В 1985 году в медвытрезвителях республики побывало 40 педагогов (г. Тбилиси — 10, г. г. Батуми, Поти, Самтредиа по 5, г. Рустави — 4, г. Сухуми — 3, г. Кутаиси — 3, Чиатура — 2, Зестафони — 2, Гори — 1). Подавляющее большинство их было освобождено от работы.

Среди них бывший учитель математики экспериментальной средней школы № 1 — Т. Бубашвили, учитель физкультуры средней школы № 56 г. Тбилиси О. Кобчик, учителя средней школы № 94 г. Тбилиси А. Аколашвили, Д. Цискаридзе и заместитель директора по хозяйственной части А. Зумбулидзе, учитель средней школы № 2 г. Тбилиси И. Гукасян и др.

Указанные выше недостатки и нарушения являются следствием неудовлетворительной координации и проводимой в системе народного образования антиалкогольной работы, отсутствия должных контактов между местными органами народного образования, здравоохранения и внутренних дел. В этой связи недостаточна роль управлений Министерства в осуществлении контроля выполнения мероприятий комплексного плана по выполнению постановления ЦК КПСС «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма».

Коллегия решает:

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, начальнику Управления народного образования г. Тбилиси:

1. 1. Считать работу по антиалкогольному воспитанию учащихся в свете указаний XXVII съезда КПСС недостаточной, требующей совершенствования и дальнейшей активизации.

1. 2. Совместно с органами здравоохранения разработать в месячный срок и утвердить план мероприятий по борьбе с пьянством и алкоголизмом в системе народного образования.

1. 3. До 1-го сентября 1986 года совместно с органами внутренних дел, здравоохранения, другими организациями осуществить мероприятия по максимальному выявлению лиц, употребляющих спиртные напитки из числа учащейся молодежи, взять их на учет, динамическое наблюдение и лечение,

организовывать среди них целенаправленную работу по антиалкогольной пропаганде и соблюдению трезвеннического образа жизни.

1. 4. Обеспечить в общеобразовательных школах, всеми средствами обучения и воспитания, формирование здорового образа жизни и трезвеннических установок у учащихся.

В процессе обучения ярко и убедительно раскрывать социальный, морально-этический вред пьянства и алкоголизма, улучшить оформление кабинетов, мастерских средствами наглядной агитации, раскрывающих вред для здоровья и социальные последствия пьянства.

1. 5. Систематически обсуждать на коллегиях, советах вопросы о состоянии работы по антиалкогольному воспитанию учащихся школ, формированию у них трезвеннического образа жизни, осуществлению мер по профилактике пьянства и алкоголизма среди подростков.

2. Дирекциям общеобразовательных школ:

2. 1. К началу 1986—1987 учебного года осуществить меры по усилению пропаганды здорового образа жизни и обеспечить их реализацию путем:

— вовлечения учащихся в разнообразные формы деятельности по интересам;

— совершенствования работы с родителями по антиалкогольной и антитабачной пропаганде, акцентируя внимание на семьях «социального риска»;

— укрепления форм взаимодействия школы и трудового коллектива в организации содержательного досуга детей и родителей.

2. 2. Сосредоточить особое внимание на выявление учащихся, употребляющих алкогольные напитки, и причин, побуждающих к употреблению алкоголя (семья, не здоровое окружение вне школы и т. п.).

3. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление воспитательной работы (тов. Э. Заркуа).

Председатель коллегии,
Министр Н. Ш. Васадзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება

საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების პროგრამის განხილვისა და გამოსაცემად რეკომენდების შესახებ

„საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების პროგრამა“ შემუშავებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სკოლამდელი აღზრდის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შედგენილი „საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების ტიპური პროგრამის“ მიხედვით. მასში რესპუბლიკის სპეციფიკიდან გამომდინარე შეტანილია ცვლილებები მშობლიური ენის, კითხვისათვის მოსამზადებელი მუშაობის, მხატვრული ლიტერატურის, მუსიკალური რეპერტუარისა და სახვითი ხელოვნების ეროვნული ნიმუშების სახით.

დამატებით, აგრეთვე შეტანილია რუსული სამეტყველო ენის სწავლების პროგრამაც.

პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა, აგრეთვე, რსფსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების პროგრამის მოთხოვნები.

პროგრამა განხილულ და რეკომენდებულ იქნა განათლების სამინისტროს კოლეგიაზე გასატანად სკოლამდელი აღზრდის მეთოდური საბჭოს მიერ 1986 წლის 28 მარტს.

პროგრამა რეცენზირებულია თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლამდელი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დაწყებითი განათლებისა და სკოლამდელი აღზრდის კათედრების, თბილისის 1-ლ და საბაზო ბაგა-ბაღებში პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, საბაზო ბაგა-ბაღის გამგის ლ. რუსიასა და 1-ლი ბაგა-ბაღის გამგის ნ. კეპულაძის მიერ.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი „საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების პროგრამა“.

2. ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას“ გამოსცეს „საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების პროგრამა“ ტირაჟით 40 000 ცალი.

3. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) დააწესოს კონტროლი აღნიშნული პროგრამის გამოცემაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტილება — სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობათა მასალების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის განმარტებისა და შესწავლის ორგანიზების შესახებ 3

Решение — Об организации изучения и разъяснения учащимися общеобразовательных школ республики материалов XXVII съезда КПСС и XXVII съезда Компартии Грузии 6

გადაწყვეტილება — ქ. თბილისისა და გარდაბნის რაიონის საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში გამოვლენილი სერიოზული დარღვევების შესახებ 8

ბრძანება № 134 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენის სასწავლო კაბინეტების აღჭურვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 12

Приказ № 134 — О мерах по улучшению оснащения учебных кабинетов русского языка в общеобразовательных школах республики 16

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოსწავლეთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების ორგანიზაციისა და მათი მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ 20

Решение — О мероприятиях по упорядочению организации и работы вокально-инструментальных ансамблей при общеобразовательных школах и внешкольных учреждениях в различных регионах республики 25

გადაწყვეტილება — ქ. ბათუმისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონის სკოლებში ქიმიის სწავლების პროცესში პოლიტექნიკურ მიმართულებათა რეალიზაციის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . 30

გადაწყვეტილება — შრომითი სპეციალობით „გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების საფუძვლების“ სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 49

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის საღამოსა (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დაკომპლექტების მეთოდიკის სრულყოფისა და მათი ოპტიმალური განლაგების ღონისძიებათა შესახებ . 62

გადაწყვეტილება — ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის რვაწლიან სკოლაში მომხდარი ხანძრის შესახებ 67

გადაწყვეტილება — განსაკუთრებულ პირობებში აღსაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა სამტრედიის სპეციალური სკოლის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ 69

Решение — О ходе выполнения органами народного образования постановлений ЦК КПСС и ЦК КП Грузии «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма 76

გადაწყვეტილება — საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების პროგრამის გამხილვისა და გამოსაცემად რეკომენდების შესახებ 81

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ჭურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 28/VIII-86 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IX-86 წ.;
ანაწყობის ზომა 6¼×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,25;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,25
შეკვეთა № 780 უე 10344 ტირაჟი 6000
უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7